

619
1952





ქართული
ბიბლიოთეკა



თბილისი. ნახევრელები ნიკოლოზ გულიაშვილი და იური ულიკოვი ეცნობიან საბავშვო ხომალდის მაკეტს.

ფოტო კ. კრიშჩკინა

დროშა

№ 6 (II)

ივნისი 1952

გამომცემლობა
„კომუნისტი“

ყოველთვიური - საზოგადოებრივი - პოლიტიკური
და სალიბერალური - სახეაზრო ჟურნალი

საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებს


სულით და გულით მივესალმები ნორჩ პიონერებსა და მოსწავლეებს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაშვიდმეათე წლისთავის დღეს.

ვეუსურებ პიონერებსა და მოსწავლეებს ჯანმრთელობას და წარმატებებს სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაე პიონერთა ორგანიზაციამ კვლავაც აღზარდოს პიონერები და მოსწავლეები ერთგულ ლენინელებად, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდადებულ შვილებად.

ი. სვალინი

F-1321



მაგზოლუუმის ტრიბუნაზე 1952 წლის საპირველმანის დემონსტრაციის დღეს. ქა-
ლაქ-მრსკოვის 612-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვერა კონდაკოვა მხურვა-
ლედ ეხსალმება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის თაიგულის გადაცემის შემდეგ

საკლესის ფოტოქრონიკა

30 დგა შეუერთდა დონს



31 მაისს, ნაშუადღევს 1-საათსა და 55 წუთზე ერთმანეთს შეუერთდნენ რუსეთის უდიდეს მდინარეთა — ვოლგისა და დონის წყლები. ეს დაუვიწყარი დღე ბრწყინვალე თარიღად შევა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მატრიანეში.

ვოლგა შეუერთდა დონს!

ხორცი შეისხა მშობლიური სტალინის გენიალურმა ჩანაფიქრმა — შეიქმნა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომელმაც უმოკლესი გზით ერთმანეთს დაუკავშირა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ზღვები. შესრულდა ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის ერთი ისტორიული ამოცანათაგანი — ვოლგა შეუერთდა დონს.

მთელი ოთხი თვე იდინა დონის წყალმა მაგისტრალურ არხში, სატუმბო სადგურებსა და უზარმაზარ წყალსაცავებში, სანამ იგი რუსეთის დედა-მდინარეს — ვოლგას შეხვდებოდა. და აი, ეს ნანატრი დღეც დადგა. იმ ადგილას, სადაც დიდი სტალინის ვეებერთელა მონუმენტი სტალინგრადის მისადგომებიდან გადაჰყურებს თვალუწვდენელ ტრამალებს, სამშობლოს საკეთილდღეოდ შეერთდნენ ვოლგისა და დონის აქაფებული ზვირთები.

საზღვარი არ ჰქონდა ხალხის აღტაცებას, როცა შავი ზღვის დონიდან 44 მეტრის სიმაღლეზე ასული დონი სწრაფად დაეშვა 88 მეტრით დაბლა და შესანვედრად წამოსულ ვოლგას შეეგება პირველი და მეორე რაბის შუაგულში.

ხალხის დევგმირულმა შრომამ, მძლავრმა საბჭოთა სამშენებლო ტექნიკამ, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურმა ხელმძღვანელობამ, პირადად დიდი სტალინის განსაკუთრებულმა ყურადღებამ და მზრუნველობამ კომუნიზმის დიადი მშენებლობისადმი, უზრუნველყო ამ

უდიდესი არხის დროულად აგება. მისი სიღიალის წარმოსადგენად რამდენიმე ციფრიც კმარა.

მიწის სამუშაოთა მოცულობა, რაც ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებმა შეასრულეს, 66 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს, ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები კი თითქმის მილიონამდე კუბური მეტრია, წყალგამყოფ ზონებში გემების ასაწევად და დასაშვებად აგებულია 30 უდიდესი რაბი, სამი მძლავრი სატუმბო სადგური, უამრავი წყალგადამგდები, მშენებელთა საცხოვრებელი სახლები, გზატკეცილები.

მთელი ეს გრანდიოზული მშენებლობა უახლესი კონსტრუქციის მძლავრი მანქანებით იყო აღჭურვილი. აქ მუშაობდნენ ჩვენს ქარხნებში დამზადებული ასობით ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები, თვითდამცლელი მანქანები და უახლესი რთული მექანიზმები.

დიდა ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ხვედრითი წონა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავების საქმეში. მუდმივ მოძრაობაში იქნება ახალ ზღვებსა და წყალსაცავებში დაგროვილი 12 მილიარდი კუბმეტრი წყალი. იგი სამშობლოს მისცემს დიდძალ იაფ ელექტროენერგიას, რომელიც მოხმარდება ჩვენს მზარდ ინდუსტრიას, სოფლის მეურნეობის სრულ ელექტროფიკაციას.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხით სამჯერ გაიზრდება შავ ზღვასთან დაკავშირებულ მდინარეთა სიგრძე. საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მდინარეებიდან და ზღვებიდან წამოსულ გემებს ამ არხში გავლით შეეძლებათ მივიდნენ მოსკოვში. იგი სანაოსნო გზებით აკავშირებს ერთმანეთს ხუთ ზღვას — ბალტიის, თეთრ, შავ, აზოვისა და კასპიის ზღვებს.

უაღრესად დიდა ამ არხის მნიშვნელობა ბუნების გარდაქმნის მხრივაც. იგი მორწყავს და გააცოცხლებს სამ მილიონ ჰექტარ მიწას როსტოვისა და სტალინგრადის ოლქებში. 190 კილომეტრის სიგრძის მაგისტრალური არხი, რომელიც წყალს მიაწვდის 30 ათასი კილომეტრის სიგრძის დამხმარე არხებს, სანაოსნოდ და სარწყავადაც იქნება გამოყენებული. იგი გააუმჯობესებს კლიმატს და უხვი მოსავლით ააყვავებს რუსეთის სამხრეთის ოლქებს.

საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოძმე ხალხთა შეილებთან ერთად, არხის მშენებლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა საქართველოს მუშები, სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკოსები. შრომითი გმირობის ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს მათ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის ისტორიაში.

დიდი სტალინის გენიით განხორციელებული ხალხთა ოცნება — ვოლგა-დონის არხის მშენებლობა — საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა. უკვე დაიწყო ნავიგაცია კომუნიზმის მშენებლობის ამ უდიდეს არხზე. თბომავლები, გემები, ბარჟები, კატარლები ეზიდებიან ხე-ტყეს, ხორბალს, მანქანებს, გადაჰყავთ მგზავრები, უწყვეტ ნაკადად მიმოდინა გემთა ქარავნები ვოლგა-დონის სანაოსნო არხში.

ბუნებაზე გამარჯვებას ზეიმობს ჩვენი მძლავრი სამშობლო, ზეიმობს მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეასრულა სტალინური დავალება — ააგო შესანიშნავი არხი, ვოლგა შეუერთდა დონს.



შემშლილი და სიტყვლე! აი ბავშვთა დიდი უმრავლესობის ხვედრი კაპიტალისტურ ქვეყნებში. უსახლკარონი, ლუკმა-პურის ძებნაში ისინი ქუჩა-ქუჩა დახეტებებიან. მათთვის არ არსებობს საბავშვო სახლები, საბავშვო მოედნები, ამბულატორიები. იტალიაში ასეთი ბავშვების რიცხვი 300 ათას აღემატება. მათი ხვედრი მათხვრობაა. ამ ფოტოზე, რომელიც გადმოგვტოლია იტალიელ ქალთა კავშირის მიერ გამოშვებულ ფურცლებიდან, თქვენ ხედავთ ტიპიურ სურათს იტალიელი ბავშვების ცხოვრებიდან.

გ ჳ ა გ ა ო ც ნ ე ბ ი თ

ისინი თბილისში იზრდებიან მომავალ მეზღვაურებად. მათი მნახველი გაკვირვებით იტყვის:

— საიდან მოხულან, რომელი ზღვიდან! თბილისი ხომ სახმელეთო ქალაქია და არა პორტი, ამდენ ახალგაზრდა მეზღვაურს აქ რად მოუყრია თავი? სწორედ ეს არის საინტერესო და საგულისხნო. თბილისი ჩვენი მძლავრი სამშობლოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომავალი კადრების სამკედლოც გახდა. უკვე მეცხრე წელია, რაც კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის ჩვენს ახალ თაობას თბილისის ნახმოველთა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდიან აქ სწავლის მსურველი ახალგაზრდები.

მაგრამ ყველა მსურველს როდი შეუძლია ისწავლოს კამოს ქუჩაზე არსებულ აგურისფერ შენობაში, სადაც ეს სასწავლებელია მოთავსებული. აქ სწავლობენ მხოლოდ სამამული ომში დაღუპულთა შვილები, სწავლობენ უდედამამო ახალგაზრდები, რომელთა მშობლები გმირულად დაეცნენ შიტლერის ურდოებთან ბრძოლაში.

შედიხართ ნახმოველთა სასწავლებელში. კარებთან მდგომი ახალგაზრდა მორიგე კაბიტანს მოახსენებს სტუმარი მობრძანდაო. შენობაში შეხვდისთანავე გრძნობთ იშვიათ სისუფთავეს, ნახმოველთა მტკიცე დისციპლინას, თადარიგაიანობას. სასწავლებლის ერთი კუთხე დათმობილი აქვს აღმირალ ნახმოვის ცხოვრებისა და გმირული ბრძოლის ამსახველ ექსპონატებს.

ბეჯითად სწავლამ, მტკიცე დისციპლინამ, კარგმა ზედამხედველობამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. მიმდინარე წელს მეხუთე გამოშვება აქვს თბილისის ნახმოველთა სასწავლებელს. აღსანიშნავია, რომ შარშან კურსდამთავრებულია 27 პრეტენტი მთელი ოქროსა და ვერცხლის მედლები. წელს კიდევ უფრო მეტია მედალოსნობის კანდიდატები.



გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება ყველა ნახმოველი. უკანასკნელი, გამოსაშვები მეთე კლასიდან წარჩინებით სწავლითა და საუკეთესო დისციპლინით გამოირჩევიან ალექსეი ავრინსკი, ვილი თუშიშვილი, ივანე მუზილოვი, გიორგი თეთრაძე, ვიქტორ კუზმინი და სხვები. ისინი ახლა გულმოდგინედ ამზადებენ საგნებს, რომ მოიპოვონ ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ნორჩ ნახმოველთაგან ფრიალზე ამთავრებენ მე-5 კლასის კურსს ნოდარ ნიკოლაიშვილი, ვიქტორ კონდა, ვასილ ჩერნოვი, ნოდარ ჯანდიერი, ვლადიმერ ბლოტნიკოვი, ვლადიმერ ლიხარშესტოვი და სხვები.

შარშან, 1-ლ სექტემბერს, მათ პირველად ჩაიცვებ საზღვაო ფორმა და მერხებს მიუხსნდნენ ახალ სასწავლებელში. ისინი ახლა ოცნებობენ—წარჩინებით დამთავრონ აქაური სასწავლებელი, უმაღლესი სამხედრო-საზღვაო ცოდნა მიიღონ მოსკოვში, გახსნენ საბჭოთა ფლოტის მოწინავე ოფიცრები.

თბილისელ ნახმოველებს მჭიდრო კავშირი აქვთ მოსკოვში მყოფ, უკვე კურსდამთავრებულ უფროს ამხანაგებთან.

„მალე საკუთარი ზღვაც გვექნება თბილისში, სამგორის არხით მოხული მდ. იორი თანდათან

ავსებს თბილისის ზღვას, სადაც ჩვენ შეგვიქმნიათ სასპორტო ნავსადგურს. ჩვენ იქ დავეუფლებით წყალჯომარდობის ყველა სახეობას; ზაფხულობით კი წავალთ შავი ზღვის სანაპიროზე, გემებით და კატარლებით გადავხერავთ, ზღვის ვრცელ შორიზონტს“,—წერენ მოსკოველ მეგობრებს თბილისელი ნახმოველები.

აქ სასწავლო დისციპლინები ისეთივეა, როგორც ყველა საშუალო სასწავლებელში, დამატებით ასწავლიან მხოლოდ ერთ საგანს—ზღვაონობას, რომელიც შემდეგ მთავარი უნდა გახდეს მათი მომავალი ცხოვრების დიდ გზაზე.

ნახმოველები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან, რომ წარმატებით დაეუფლონ ცოდნას. მათ უფასოდ ეძლევათ წიგნები, კვება, ტანსაცმელი, ბინა, აქვთ საკუთარი ლაბორატორიები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, სასპორტო დარბაზი, კულტურული გასართობები. აქვთ აგრეთვე შესანიშნავი სამხედრო-საზღვაო კაბინეტი, სადაც გამოფენილია ნახმოველთა მიერ გაკეთებული კატარლების, კრესერების, სახაზო გემებისა და წყალქვეშა ნავების ჩინებული მაკეტები.





ქართული ასკონომები სწავლობენ სამყაროს სიღრმეობებს

პროფ. ე. ხარაძე

აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

კურორტ აბასთუმნის მახლობლად, ხშირ ფეხნარით შემოსილ ყანობილის მთაზე, ზღვის დონედან 1600 მეტრზე მეტ სიმაღლეზე, გაშენებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორია. ქვის კოშკებში, რომელთაც სვერული მბრუნავი გუმბათები ხურავთ, მოთავსებულია ცის მოვლენებსა და ციურ სხეულებზე დაკვირვებისათვის საჭირო განსაკუთრებული იარაღები—ტელესკოპები და ასტროგრაფები. აქ მოწყობილია სათანადო ხელსაწყოებით აღჭურვილი ლაბორატორია, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს თითქმის ყველა ობსერვატორიის ნაშრომები ასტრონომიის დარგში.

მუშაობას ხელს უწყობს ამ ადგილმდებარეობის ხელოვნური და ბუნებრივი პირობებიც: ელექტროსადგური, წყალსადენი, მოკირწყლული მისასვლელი გზა, ორსართულიანი ქვის სახლი მეცნიერ მუშაკთათვის და აბასთუმნის მთიანი რაიონის ატმოსფეროს დიდი გამჭვირვალობა და ჰაერის მაღალი ფენების დიდი სიწყნარე. ყველაფერი ეს ნაყოფიერს ხდის თანამედროვე ხერხებით წარმოებულ ასტრო-ფიზიკურ დაკვირვებებს.

აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორია შედარებით ახალი დაწესებულებაა: სულ 15 წლის წინათ დაიწყო მან მუშაობა ყანობილის თხემზე. მას ემსახურებიან მასთანვე შეზრდილი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერ-ასტრონომები.

ჩვენი ობსერვატორიის აღმოჩენები და სამეცნიერო გამოკვლევანი ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. ობსერვატორიის მუშაკებს ას ოცამდე გამოქვეყნებული ნაშრომი ეკუთვნით. აქ აქტიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს და, ამავე დროს, ობსერვატორია დიდი ასტრონომიული სკოლაც არის. ყანობილში ყოველწლიურად გადიან პრაქტიკას თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტარტუს და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებიდან ჩამოსული სტუდენტები და ასპირანტები.

ობსერვატორიაში სწავლობენ უსასრულო მატერიალური საყაროს აგებულებას, სამყაროს სხეულთა განლაგებას და მოძრაობას სივრცეში, მათ სიდიადესა და ტემპერატურას, მათ ქიმიურ შედგენილობასა და ფიზიკურ მდგომარეობას, მათ განვითარებასა და სახე-

ცვლილებებს. ასტრონომიური დაკვირვებისა და შესწავლა-გამოკვლევის საგანს წარმოადგენს მზე და მთვარე, ცთომილები და კომეტები, ვარსკვლავები და ვარსკვლავთ გროვები, ვარსკვლავთა წიაღები და ვარსკვლავთშორისეთის სივრცეებში გაბნეული ნივთიერებანი.

ამ კოსმოსურ სხეულებს შორის ჩვენთან ყველაზე ახლოს არის მთვარე—დედამიწის თანამგზავრი, მაგრამ მანძილი მთვარემდე მანძი 385 ათას კილომეტრს უდრის. ეს მანძილი ცხრაჯერ აღემატება დედამიწის გარშემოწერილობის სიგრძეს. მიუხედავად ამისა, ეს მანძილი უმნიშვნელოა იმ მანძილთან შედარებით, რომელიც ჩვენგან აშორებს მზეს და, განსაკუთრებით, ვარსკვლავებს.

მანძილი მზემდე დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრია. მის დასაფარავად თვითმფრინავს 40 წელიწადიც არ ეყოფოდა. მაგრამ უახლოესი ვარსკვლავიც კი ჩვენგან 270-ათასჯერ უფრო შორსაა. ვიდრე მზე. ვარსკვლავთა უმრავლესობა კი იმდენად შორსაა, რომ მათ მანძილებს პრაქტიკულად ვერც გამოვხატავთ კილომეტრებით. ამ მანძილებს ე.წ. „სინათლის წლებით“ გამოხატავენ. „სინათლის წელი“ ის მანძილია, რომლის გავლას სინათლის სხივი ერთ წელიწადს უნდება, გადის რა იგი 300 ათას კილომეტრს თვითულ წამში.

მაგრამ, თუ ეს ასეა, შეგვიძლია ვიკითხოთ: როგორ ახერხებენ ესოდენ დაშორებულ სხეულების საწვინოდ შესწავლას?

ეს სიზოფე არ წარმოადგენს არსებით დაბრკოლებას მეცნიერული გამოკვლევისათვის. თანამედროვე ასტრონომია და ასტრო-ფიზიკა სარგებლობენ დაკვირვება-გამოკვლევის ისეთი მძლავრი საშუალებებით და იმდენად ზუსტი მათემატიკური და ფიზიკური ხერხებით, რომ შესაძლებელია შორეული მანძილების ზუსტად გაზომვა, შორეული ვარსკვლავების შედარების ტემპერატურის სარწმუნო გამოთვლა, მათი ატმოსფეროს სიმკვრივის ან ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა.

ფართოდ ცნობილია, რომ ასტრონომებს საშუალება აქვთ წინასწარ გამოითვალონ მზის ან მთვარის დაბნელების დრო და ზევრი სხვა მოვლენაც.

ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის მუშაობაში ჩვენ იმის ზვერ მაგალითს ვხვდებით, ვუ როგორ საემედოდ შეისწავლიან ასტრონომები ბუნების მოვლენებს, როგორ სარწმუნოდ განსაზღვრავენ ისინი კოსმოსურ სხეულთა თვისებებსა და მახასიათებლებს.

ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორმა მიხეილ ვაშაკიძემ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ხუთი ექსპედიცია მოაწყო მზის სრული დაბნელების რაიონებში. მისმა ექსპედიციებმა მოიარეს შუა აზია, ყაზახეთისა და კარელია-ფინეთის რესპუბლიკები, ბრაზილია და სხვა ადგილები, რათა ჩატარებინათ განსაკუთრებული დაკვირვებები იმ მოვლენებზე, რომლებიც მზის ატმოსფეროში მხოლოდ სრული დაბნელების მომენტებში ჩანს. ხუთივე შემთხვევაში მზის დაბნელება წინასწარ იყო ზუსტად გამოთვლილი. მ. ვაშაკიძემ მიმართა რა დაკვირვების განსაკუთრებულ ფიზიკურ ხერხებს, დაადგინა მზის ატმოსფეროს ზოგიერთი ახალი თვისება.

ობსერვატორიის მეორე თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატმა ა. ტორონჯაძემ ყურადღება მიაქცია ე. წ. ცხელი ვარსკვლავების მოძრაობის ზოგიერთ თვისებებებს და საკითხის გამოკვლევის წმინდა მათემატიკურ ხერხებისა და გამოთვლების საშუალებით მეტად საინტერესოდ ამოხსნა ამოცანა.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატმა ნ. კალანდაძემ და თ. კოჭლავილმა სპექტროსკოპული და ფოტოგრაფული მეთოდების გამოყენებით მოახერხეს: პირველმა—ორასამდე ვარსკვლავის ქეშმარიტი ბრწყინვალეობისა და მანძილების გამოთვლა, ხოლო მეორემ—ვარსკვლავთშორისეთში ისეთი ნივთიერების განაწილების გამოკვლევა, რომლის სიმკვრივე მრავალ ასეულ მილიონჯერ ნაკლებია ჩვენი ჰაერის სიმკვრივესთან შედარებით. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატმა რამზე ზართაიამ კი ფოტოგრაფიულ-სპექტროსკოპული მეთოდით სრულიად ახალი ობიექტი აღმოაჩინა და ზვერი მისი საინტერესო თვისებაც გამოიკვლია; მაგალითად, მან გამოითვალა, რომ მის მიერ აღმოჩენილ ახალ ვარსკვლავში გაზების წიაღებიდან ამოფრქვევის სიჩქარე რამდენიმე ასეული კილომეტრის იყო წამში.

ისმის კითხვა—რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის ასტრონომიურ კვლევა-ძიებას?

ვარსკვლავთ სამყაროში ნივთიერების ფიზიკური მდგომარეობის ისეთ მრავალფეროვან მოვლენებს ვხვდებით, რომელთა მიღება ჯერჯერობით არ ხერხდება ჩვენს ფიზიკურ ლაბორატორიებში. მაგალითად, შემონახსენები „ცხელი ვარსკვლავების“ ზედაპირული ტემპერატურა 20-30 ათასი გრადუსია. აგრეთვე შემოდახასიათებელი ვარსკვლავთშორისეთის ნივთიერების მეტად მცირე სიმკვრივის გარდა, ზოგ ვარსკვლავში საქმე გვაქვს ისეთ დიდ სიმკვრივეებთან, რომლებიც მრავალ ათასჯერ აღემატება, მაგალითად, ტყვიის სიმკვრივეს. ასეთი ვარსკვლავის ნივთიერების პატარა მოცულობა, მაგალითად, ასანთის კოლოფის ოდენა მოცულობა, აიწონიდა ჩვენთან იმდენსავე, რამდენსაც იწონის რკინიგზის ორთქლმავალი.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ასტრონომიული დაკვირვებით შეგვიძლია შევისწავ-



აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი პროფ. ე. ხარაძე


ლოთ ნივთიერების მდგომარეობა სრულიად განსაკუთრებულ ფიზიკურ პირობებში. ეს კი ხელს უწყობს ნივთიერების აგებულების შესწავლის საქმეს, რაც თანამედროვე თეორიული და ტექნიკური ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა და, კერძოდ, ატომური ენერჯის გამოკვლევასთანაც არის დაკავშირებული.

ამასთან ერთად, მზუზე დაკვირვება ბევრი ისეთი ამოცანის შესწავლას ემსახურება, რომელიც უშუალო კავშირშია კაცობრიობის ყოველდღიურ საქმიანობასთან და საჭიროებასთან: რადიოკავშირი, დეამიწის მაგნიტიზმი, მზის ენერჯის ტექნიკური გამოყენება და სხვა. მზე განუწყვეტლივ გამოაფრქვევს სივრცეში სხივური ენერჯის უდიდეს რაოდენობას. ამ ენერჯის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოდის, თუ მის სათანადო გარდაქმნას მოვახერხებდით, მოგვცემდა ენერჯის, რომელიც 90 მილიარდი კილოვატი ელექტროენერჯით გამოიხატებოდა.

აბასთუმნის ობსერვატორია მუშაობს ისეთი საკითხების გამოკვლევაზეც, რომელთაც, დიდ თეორიულ-მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად, დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. ამ დარგში საინტერესო შედეგებს მიადრწის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატმა თინა რაზმაძემ, რომელმაც ბევრი ახალი კანონზომიერება აღმოაჩინა მზის წიაღებიდან გაზების სწრაფი ამოფრქვევების მოვლენებში. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატმა თ. მეგრელი-შვილმა კარგად განოიყენა დაკვირვების ახალი ასტრო-ფიზიკური მეთოდი—ელექტროფოტომეტრია დეამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენების აგებულების შესწავლის მიზნით. ამავე განხრით მუშაობს გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩხაიძე.

ასტრონომიული სამყაროს კანონზომიერებათა და საერთო აგებულების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი მატერიალური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა ასტრონომების დამახასიათებელი თვისებაა თანმიმდევრული მატერიალიზმი და მატერიის განვითარების კანონზომიერებათა შეცნობა-ლობის, ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნის ღრმა რწმენა.

ადამიანმა ღრმად ჩაიხედა უსასრულო სამყაროს წიაღებში. ამავე ღროს, ადვილი მისახვედრია, რომ სამყაროში ისეთ მოვლენებსაც ვხვდებით, რომელთა შესტად ახსნა ჯერჯერობით არ ხერხდება. მაგრამ ეს არ ქმნის არსებით დაბრკოლებას კაცობრიობის ცოდნისა და შეცნობის უსაზღვრო განვითარებისათვის. ის, რის გარკვევაც დღეს არ ხერხდება, მომავალში დაძლეული და გამოკვლეული იქნება. ადრე თუ გვიან ადამიანის გონება მიაკვლევს და ფარდას ახდის სამყაროს ყოველ—საიდუმლოებას.



აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე, უფროსი მეცნიერ-მუშაკი მ. ვაშაკიძე 40 სანტ. ტელესკოპ-რეფრაქტორის კოშკურაში.

ფოტო გ. რაზმაძისა

ქლიპანგი გომიანი

მნი

მხატვარი დ. ხახუტაშვილი

თავდაჯერება

თბილისის სადგურიდან სოკის მატარებლის გასვლას სამი წუთი აკლდა. ვაგონების ფანჯრებთან მიმდგარი მგზავრები გამცილებლებს ემშვიდობებოდნენ. ბაქანზე ხმაშავალი ლაპარაკი, სიცილი და ელმავლის ყრუ გუგუნის ისმოდა.

ვლადიმერ დოლაბერიძე დარბაზიდან გამოვიარდა, მარჯვენა ხელში დიდი ჩემოდანი ეჭირა, მარცხენაში ქუდი და მატარებლისაკენ გამაღებული გარბოდდა.

ელმავალმა მიაკვირა, ვაგონები ლიანდაგზე უცებ გასრიალდნენ. ვლადიმერი საფეხურზე მარდად შეხტა და კართან მდგომ კონდუქტორის უკმაყოფილო სახეს რომ შეხედა, თავაზიანად უთხრა:

— ნუ გეშინია, რბილი ადგილის ბილეთი მაქვს!

ვლადიმერმა კუბის კარი ფრთხილად შეადო. იქ ორი კაცი დაუხვდა. მათთვის არც კი შეუხედავს. ჩემოდანი მალა თაროზე შეადო, ზამბარებიან საწოლზე ნელა დაეშვა, სირბილისაგან სახეზე აღმური ასიოდა. დალილმა თვალები კედელს მიაპყრო და ფიქრებს მიეცა. „ხვალ საღამოს რაიონული თათბირია. ისლა მაკლდა მატარებელზეც დამგვიანებოდა. ნეტავ რას იტყვის ჩემზე რაიკომის მდივანი? ბიჭი ხარ და გაუძელო... არა, მე თვითონ წავალ, ვიდრე მეტყვიან წაბრძანდით. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვინც უნდათ ის აირჩიონ. მიწა მოსავალს არ იძლევა, ჩემი ბრალია!“

თანამგზავრებმა ერთი ვლადიმერისაკენ მიიხედეს და დაწყებული საუბარი განაგრძეს.

— ჰექტარზე რამდენი ცენტნერი თამბაქო მიიღე? — ჩაეკითხა ახალგაზრდა მგზავრი ჰალარას

— საშუალოდ ჩვიდმეტი, — დინჯად მიუგო მან, — ზოგიერთ ნაკვეთზე კი ოცდაათიც.

ამ სიტყვებმა ვლადიმერი ფიქრისაგან გამოარკვია, დაინტერესებულმა მათკენ მიიხედა. თანამგზავრები ფანჯარასთან ისხდნენ, ელექტროშუქი თვა-

ლისმომჭრელად აბრჭყვიალებდა მათ განიერ მკერდზე სოციალისტური შრომის გმირობის ვარსკვლავებს.

ვლადიმერმა პალტო გაიხადა, კედელზე დაჰკიდა და საწოლზე მიმხედ დაეშვა.

— ოცდაათი ცენტნერი! ეს დაუჯერებელია! — მოუხვენრად ჩაილაპარაკა მან.

— რატომაა დაუჯერებელი? — გაიკვირა ჰალარა თანამგზავრმა. — მე ერთი მერგოლური მუავს, ის ნახევარ ჰექტარზე თვრამეტ ცენტნერ თამბაქოს ღებულვს.

ვლადიმერმა ცხვირსახოცი გაშალა, შუბლზე მიიფარა და ოფლის წმენდით მიუგო.

— ალბათ მიწა გაქვთ დალოცვილი.

— ეგეც არის, მაგრამ, მთავარია შრომა, ცოდნა!

— რასაკვირველია, უცოდინარი კაცი ბრმა: — დაემოწმა იგი. ცნობის-მოყვარეობამაც წაძლია და ჰალარა თანამგზავრს ჰკითხა:

— თქვენ რომელი რაიონიდან ხართ?

— გაგრის.

— მერგოლური მუავსო, რომ მითხარით, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხომ არ ხართ?

— დიხ!


— თქვენ? — ახალგაზრდა მგზავრსაც ჰკითხა.

— მე ბრიგადირი ვარ, გუდაუთხს რაიონის კოლმეურნეობაში.

— შრომადღეზე ბევრს გაანაწილებდით? — მოუთმენლად ჰკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— ცოტა. ხუთი კილოგრამი სიმინდი და ოცდათხუთმეტი მანეთი.

— დალოცვილო, ეგ ცოტაა?!



საქართველო
საბჭოთაო

— მიერთვით—დაყოლა მან და შეწითლებულ ლოყაზე ხელი ჩამოიხვია. ვლადიმერმა ჭიქა გამოართვა, ვაგონის რწევაში ღვინო ხელზე გადაედგრა. ბრიგადირმა თვალი დააყოლა შავ წვეთებს, იატაკზე რომ ეცემოდნენ და, თითქოს შეენანაო, ვლადიმერს უთხრა:

— მალე დალიეთ, თორემ სულ დაიდვრება.

— არა, ვერ დავლევ!

— რატომ, შე კაი კაცო, ორი-სამი ჭიქა მარგებელია და მეტი არც ჩვენ გვინდა.

— ამ ღვინოს უარი არ ეთქმის, კარგად იყავით, სულ კარგად! — გაისმა კონდუქტორის ბოხი ხმა. მან თვალის დახამამებაში ღვინო გადაჭრა, ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და პურის ყუა აიღო.

ვლადიმერი აღელვებდა ფარავდა, მაგრამ ხმა როგორღაც უკანალებდა და სიტყვებს ჩქარჩქარა გამოთქვამდა.

— თქვენ გავიმარჯვოთ, თუმიცა, გლენკაცს ამაზე მეტი გამარჯვება უნდა?! მოხაჯავალს ხვადინად ღებულობთ, სოფელი კმაყოფილია. ვისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებას.

ვლადიმერმა ჭიქა რომ გამოცალა, გული უფრო შეუღონდა, უხერხულთ იყო ლოგინის გაშლა და კონდუქტორის უთხრა:

— ჯერ იყოს, მერე დავიძინებ.

კონდუქტორი რომ წავიდა, ვლადიმერმა მორიდებით წაიღულღულა:

— თქვენ, მე, ხელი შეგიშალეთ!

— არა, როგორ გეკადრებათი მიერთვით, ნუ გერიდებათ! — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ღვინო დაუსხა. ვახშამი დიდხანს არ გაგრძელებულა. სახელდახლოდ გაშლილი სუფრა მალე დაცარიელდა.

— თქვენ, ალბათ, ადრე იძინებთ, მოიხსენეთ! — თითქოს გადაკვრით უთხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და წამოიწია, რომ მისთვის ადგილი დაეთმო, თვითონ მალა ჰქონდა საწოლი.

— ძალიან დაღლილი ვარ, ცოტას თვალს მოვატყუებ.

ვლადიმერმა კონდუქტორის ლოგინი გაშლევინა, ფეხსაცემლები გაიხანდა; საბანი არ დაუხურავს ისე წამოწვა. პირაღმა გადაბრუნდა, ხელები თავქვე ამოიღო და ვენტელატორის მიანერდა.

— ბოდიში, ექიმი ხომ არ ბრძანდებთ? — ჰკითხა ბრიგადირმა და ზევინდან დახედა.

— არა, რატომ? — გაოცდა ვლადიმერი.

— ისე გკითხეთ, გამიგონია, ექიმები ადრე წვიბიანო.

— არა, მე ექიმი არა ვარ. — შეწუხებული ხმით მიუგო ვლადიმერმა.

— აბა, სად მუშაობთ? — ახლა თავმჯდომარემ ჰკითხა.

ვლადიმერს ტანში გასცრა, თითქოს შესცვიდაო, თქვის საბანი გადაიხურა და თვალები მილულა, მაგრამ ცნობისმოყვარე თავმჯდომარემ კითხვა გაწუმეორა და ვლადიმერმაც ყუყუანით მიუგო.

— მასწავლებელი ვარ, ოჩამჩირეთში!

— მეც მასწავლებლად ვიყავი თერთმეტ წელიწადს, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეად ამირჩიეს და სულ მოვწყდი სკოლას... ბოდიში, რომელ საგანს ასწავლით?

ვლადიმერს ბასუბი შეუგვიანდა და ბოლოს ცივად მიუგო, — მშობლიურ ლიტერატურასო. შემდეგ თვალები დახუჭა და პირი კედლისაკენ მიიბრუნა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემაც გააშლევინა ლოგინი, ბრიგადირიც დაწვა. მალე კუბეში მიიწარეთა ხმამაღალი სუნთქვა გაისმა. ვლადიმერს კი არც ეძინა და არც ეძინებოდა. ან კი რა დააძინებდა, როცა სირცხვილის უადრესად წმინდა ადამიანური გრძობა ქვევინდა. მან პირველად იცრუა. თავმოყვარეობამ წახსლია, თორემ გულხანდილად შეეძლო ეთქვა: მეც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარო. მართალია, თავს ვერაფრით გამოიდებდა, მაგრამ სიმართლეს ხომ იტყუა.

ვლადიმერმა სასთუმალი გაისწორა, ცოტაც წამოიწია და მის გვერდით, კედელზე მიმაგრებულ საწოლს ცნობისმოყვარე თვალებით ახედა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერისაკენ მიბრუნებული იყო და მშვიდად, უადრესად ეძინა. მზით დამწვარი სახეზე გულკეთილობისა და სიმართლის შუქი ადგა. ვლადიმერისათვის ნაცნობი იყო ეს სახე, გაზეთებში ბევრჯერ უნახავს იგი.

„რატომ არ დაიძინებს მშვიდად, აქაოდა ხვალ არ უთხრან, კოლმეურნეობის მინდვრებზე კარგი მოხაჯალი არ მოგყავსო, ცუდი ხელმძღვანელი ხარო. იძინე, ჩემო ძმაო, იძინე!“ — წახურჩულა ვლადიმერმა. იგი არასოდეს მასწავლებელი არ ყოფილა. საშუალო სასწავლებელი რომ დამთავრა, ცოტა ხანს სასოფლო საბჭოში მდივნად მუშაობდა. ჯარში გაიწვიეს. სამამულო ომის რომელ ფრონტზე არ იბრძოდა. ბერლინამდე მიადწია. იქ დასტრეს და ექვს თვეს ჰოსპიტალში იწვა, ფეხის ჭრილობა მალე მოუშუშდა: ომდასნდილი საბჭოს თავმჯდომარედ დაწინაურეს. მაგრამ იქ დიდხანს არ გაუჩრებიათ, სოფელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია.

ფიქრებში დრო ძალიან მიძინებდა დადიოდა. ცოტა რომ ირთურაჟა, გაგრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გამოეღვიძა, ფეხები ძირს ჩამოუშვა და ლოგინზე წამოჯდა. დაინახა ვლადიმერი პაპიროსს ეწეოდა და ხუმრობით ჰკითხა:

— სკოლის წარის ხმა ხომ არ მოგვხმა? ახე ადრე რამ გამოგადგომა?! ვლადიმერმა ოდნე გაიღიმა.

— არ მიყვარს ლოგინში დათენება.

— ჩემსავით ყოფილხარ; ხიდან ქათმების ჩამოფრენამდე თუ არ ავდექი, ის დღე დაკარგული მჯონია.

— მართალია. თქვენი გვარი? — ჰკითხა ვლადიმერმა.

— გიორგი ფულარია.

— ბევრჯერ მინახავს გაზეთში თქვენი სურათი.

გიორგი ძირს ჩამოხტა, თმა გადაივარცხნა და ვლადიმერის საწოლზე ჩაძოჯდა.

— ბრიგადირს ძილი ჰყვარებათ! — ჩილაპარაკა მან და ვლადიმერს შეხედა. — ადგილი კაცო, თქვენი თავი მომიცა კოლმეურნეობაში, გიჩვენებთ როგორ უნდა ამ დროს ლოგინში ნებოვრობა. — შენს სოფელში კოლმეურნეობა რამდენს აწაწილებს?! — ჰკითხა მან ვლადიმერს.

— ნიადაგი გვაქვს უხერხო, ცოტა მოხაჯავალს იძლევა! — დაბნულად უბასუხა ვლადიმერმა.

— აბა, ეგ არ გამაგონო. ნიადაგს, ჩემო ძმაო დამუშავება უნდა, სასუქიც უნდა და მერე მოხაჯალი სად წავივა. თამბაქო გაქვთ?

— ბევრი!

— რამდენ ცენტნერს ღებულობთ ჰექტარზე!

ვლადიმერს მოაგონდა გიორგი რომ ოცდაათ ცენტნერ თამბაქოს იღებდა და დარცხვენით მიუგო.

— ათს, თერთმეტს.

შურით ჩაილაპარაკა ვლადიმერმა, აჩქარებით ამოიღო „ყაზბეგის“ კოლოფი, პაპიროსი პირში გაიჭრა, სწრაფად წამოადგა და ტალანში გამოვიდა. იქ ციოდა და არავინ იყო. მან ერთი ნაფაზით პაპიროსი ნახევრამდე ჩასწვა, დატუბებული ბოლი ცხვირიდან ერთბაშად გამოუშვა და ფანჯარას მიეყრდნო. „ეს რა ხალხში მოვხვდები... მე მათთან რა გამოსახენი ვარ. ისიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და მეც. მოდი და მიუჯექ გვერდზე. რომ მკითხოს ჰექტარზე რამდენი თამბაქო, სიმინდი ან ჩაი მოგყავსო, რა ვუბასუხო? ხომ მოკვდა სიცოცხლი“.

ვლადიმერი რაც მეტს ფიქრობდა, იმდენად უფრო და უფრო იბყრობდა რაღაც უსიამოვნო გრძობა, რომელიც გულში ადევნებდა სირცხვილს, შიშსა და კუბეს კარს ვერ აღებდა. იქ უადრესად იხსენებდა სახელოვანი ადამიანები. მათ გვერდით მე რა გამოსახენი ვარო, გულისტკივილით ფიქრობდა იგი. ვლადიმერმა მთელი თავის განვლულ მუშაობას კრიტიკის თვალით გადახედა და ბევრი არახასიათოვნო რამ აღმოაჩინა.

ლამე იყო, ცივი, მთვარიანი ღამე. ვაგონის ვეება ჩრდილები თოვლზე უხმაურად მისრიალდნენ.

ვლადიმერს ფართო, გაშლილი მხრებით ფანჯარა დაეფარა. ტანის სიმადლებითან შედარებით გამხდარი ჩანდა, მაღალი იყო, თმაში ჰალარა არ ერია, მაგრამ სახეზე ბევრი ნაოჭი ჰქონდა, სინამდვილეში ორმოციხა იყო, მაგრამ ორმოციდათ წელზე მეტს მისცემდით, ოჯახს გვიან მოეკიდა და მის ხნოვანებისთვის შეუფერებელი ბავშვები ჰყავდა. სამხედრო ყაიდაზე იცვამდა. შალის ხალათი, ლურჯი მაულის შარვალი და გაბრიალებული ჩექმები მის გარეგნობას ლაზათთან იერს აძლევდა. უღვაშები მოკლედ ჰქონდა შეკრებილი და მსხვილი, მშვიდად გამოიწერა ოფიციალური ახლა აღელვებისაგან უკიაფებდა. მან საყულო გაიხსნა, დასცხა, წელზე შემოჭერილ ქამარში ხელი ჩაიყო და კუბეს კარს მიეყრდნო.

ვლადიმერ დოლაბერიძე ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ. „კარგი და, მკითხონ შრომადღე რამდენი კილოგრამი მარცვლეული და რამდენი ფული გაანაწილეთო, როგორ ვუბასუხო: ორი კილოგრამი სიმინდი და ხუთი მანეთი-მეთქი. სირცხვილი ამის მეტი გინდა?! ხომ მკითხავენ, ასე რამ ჩამოგარჩინაო?!“

ვლადიმერმა ისევ მოუკიდა პაპიროსს და დაღონებული, ტალანის ბოლოში გავიდა. იქ კუბეს კარი ღია იყო. მგზავრებს ვახშამი გავშალათ და ხმამალა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. ვლადიმერს შეშურდა მათი მხიარულება და გულნატკენი გამოარუნდა. ტალანის თავში კონდუქტორის კუბეს კარი გაიღო და ბალიშებზე გადაწოლილი გაზეთს კითხულობდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა კონდუქტორმა და წამოადგა.

— წყალი, თუ გაქვთ!

— როგორ არა! — ვლადიმერმა გამშრალი პირი ჩაიხველა და კონდუქტორის თხოვა:

— კარგს იზამთ, თუ ლოგინს მომცემთ.

— როგორ არა! დაგივებთ, მაგრამ ჯერ ადრე არ არის!

— მეძინება, დღეს ძალიან ბევრი ვიარე.

კონდუქტორმა აიღო თორი ტილოში გამოხვეულ ზეწრები და ვლადიმერს მორჩილად გაჰყვა. ვლადიმერმა კუბეს კარი გააღო და მის შემოფოთებულ სახეს თამბაქოს კვამლი და ღვინის სუნი ეცა. თანამგზავრებს ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე სუფრა გაეშალათ.

— შო, რად გავუქვიცი, ძმაო! — მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და წითელი ღვინით ხავსე ჭიქა ვლადიმერს მიაწოდა, მერე კუბაც კონდუქტორს გაუხსო.



ალექსანდრე ნეკრასოვის მიწერ-მონერა ალ. ხახანაშვილთან

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ალ. წულუკიძე პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ფართო ლიტერატურულ მუშაობასაც...

მისკოვიდან დაბრუნების შემდეგ ალ. წულუკიძე 1900 წლის პირველ ნახევარში თბილისში ცხოვრობდა. ამ დროის განმავლობაში ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამბის და საზოგადო მოღვაწის მარია დემურისა...

ამის გამო, 1900 წლის 4 იანვრის თარიღით ალ. წულუკიძეს, როგორც დაახლოებულ პირს დახმარებისათვის შეუდგენი წერილით მიუმართავს პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისადმი: „1900 წ. 4 იანვარი“. „მოვილოცავეთ ახალწელს და ახალ საუკუნეს, ბატონო ალექსანდრე! თბილისის რამოდენიმე მასწავლებელმა ქალმა განიზრახა საბავშვო წიგნების გამოცემა...“

საზოგადოებრივ გზავნიტ თქვენი რჩევა და აზრი ხშირ-ხშირათ მოგვაწვდინოთ და ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოთ ამ ახალს, მაგრამ სასარგებლო ქართულ საქმეს.

თქვენი მარად პატივისცემის მსურველი ალექსანდრე წულუკიძე! გთხოვთ პასუხი კვალის რედაქციაში გამოგზავნოთ. ალ. წულუკიძის ამ წერილის შემდეგ, იმავე წლის 20 ოქტომბრის თარიღით, აღნიშნულ საქმის გამო, თვით მარიამ დემურისა მიუმართავს წერილით ალ. ხახანაშვილისადმი, შემდეგი შინაარსით:

„1900 წ. 20 ოქტომბერს.

პროფესორ კაო ხახანაშვილს

გულით მონარული ვარ, რომ უნივერსიტეტშია ქართული ენის ლექციებს კითხულობთ. ღმერთმა გაგიმარჯოს და ხელი მოგიმართოთ, აგატანინოთ ამდონი შრომა.

აქ ჩვენ ვითომ რალაცებს ვფუსფუსობთ, საბავშვო წიგნების გამოცემას ვაპირობთ და პირველად ხალხური ზღაპრების გამოცემა გვინდა. ყველა ჩვენმა წრის მონაწილემ გულით გთხოვთ გვიჩვენოთ, საიდან ამოვარჩიოთ? თურმე თქვენა გქონიათ ხალხური ზღაპრები. გენაცვა, ვიცი ერთი წამი თავისუფალი არა გაქვთ, მაგრამ მაინც გთხოვთ, ამ საქმეში დაგვეხმაროთ. ყოველივე სიკეთეს და ჯანის სისალეს გისურვებთ.

ჩემი ადრესი: Авчальская улица № 72, дом Шаумова. ველით მალე თქვენს პასუხს.

თქვენი ერთგული და მამო დემურია“.

მართლაც 1902 წელს გამოვიდა ქართული ზღაპრების პირველი, ხოლო 1904 წელს — მეორე წიგნი.

ქართული ზღაპრების მეორე წიგნის შესახებ გახ. „ივერია“ (285) 1904 წლის 14 დეკემბერს გამოცემული იუწყებოდა: ეს ისეთი წიგნია, რომ ყოველ შეძლებულ ქართველ ოჯახს მუდამ მაგიდაზე უნდა ედოს, თუ მცირეოდენი სიყვარული მაინც შეჩვენია თვისის მშობლისა და აღმზრდელის ერისაო. „ივერია“ ბოლოს დასძინდა, რომ ქართველ ქალთა გუნდმა საუცხოო ნობათი მართვა ამ სახალწლოდ ქართველ საზოგადოებასო.

ამგვარად, ზემოაღნიშნული წერილის ავტორგრაფები მნიშვნელოვანია ალექსანდრე წულუკიძისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ცხოვრების შესასწავლად. იგი ასახავს ალექსანდრე წულუკიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ საინტერესო მხარეს, მის დამსახურებას ქართული კულტურის აღორძინების საქმეში.

შალვა გოგალიაშვილი

- 1) იხ. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილის ალ. ხახანაშვილის არქივში. 2) იხილეთ იქვე.

— ყველანი წავიდნენ? — შეშფოთებით იკითხა ვლადიმერმა. — პირველი ჯერ არ წახულა, მიუხეობს — უბასუხა გაკვირვებულმა დამლაგებელმა. ვლადიმერი ყოველთვის მშვიდი, დინჯი და გამოზომილი ნაბიჯებით შემოდიოდა რაიკომში. ყველას ესალმებოდა, ხშირად მისთვის ხელიც ჩამოურთმევია, მაგრამ დღეს გამარჯობაც კი არ უთქვამს, „ნეტავ რა მოუვიდა?“ — გაიფიქრა დამლაგებელმა და თვალი გააყოლა დერეფნის სიღრმეში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ვლადიმერს.

ვლადიმერი პირველი მდივნის კაბინეტთან შედგა. უცებ გზაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ეჭვი შეეპარა. „განთავისუფლება ვინაოვო, მეტყვის, კომუნისტები ხარ და ხაშუხაოვო კი გაურბინაოვო, მაშინ რა ვუბახუხო?“

სკამის კრიალს კაბინეტში ფეხის ხმა მოჰყვა. „მიდის“, — გაიფიქრა ვლადიმერმა და კარი ფრთხილად შეაღო.

— უკვე მიდინარო? — ჰკითხა მან შინ წასასვლელად მომზადებულ მდივანს. — არა უშავს, შემოდი — უთხრა მდივანმა და ხელი ჩამოართვა ვლადიმერს. — თათბირზე ადრე მოხულხარ. — უთხრა მდივანმა, ქუდი გაისწორა და კარისკენ ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ვლადიმერის შეწუხებულ სახეს რომ შეხედა, შეჩერდა. ვლადიმერს წვერი ცოტა წამოზრდოდა და ნიკატთან ქალარა უფრო მეტად ეტყობოდა. ეს პირველად შეამჩნია რაიკომის მდივანმა და გაკვირვებით ჰკითხა:

— დაგვიბერდი ვითომ? ეს ქალარა რა ამბავია? რა გაწუხებს, ჩემო ვლადიმერ?

— ის, რაც კოლმეურნეობას აწუხებს. — ვლადიმერმა ხმას დაუწია და დარცხვენით განაგრძო: — მატარებელში დიდი სირცხვილი ვჭამე.



ვლადიმერი სკამზე ნელა დაეშვა. რომ არ დამჯდარიყო, ეგონა წაიქცეოდა. რაიკომის მდივნისათვის სახეზე ერთიც არ შეუხედავს, ისე ბუბუბუთო ყველაფერი უამბო.

— რას იზამ ახლა, როგორ მოიქცევი? — ოდნავ დიმილით შეიკითხა რაიკომის მდივანი და თან შეეცადა ვლადიმერის თვალებში ჩაენედა და პასუხი იქიდანაც ამოეკითხა. მაგრამ ვლადიმერმა თავი უფრო ძირს დახარა.

- აბა, როგორ მოვიქცე, რა ვიცი! — თუ არ იცი, ეგ ყველაზე უფრო ცუდია. ჰა, რას იტყვი? — უნდა ვიმუშაო.

— მართალია. დაგეხმარებით, თუ მოინდომებ, მიწა ყველაფრის მომცემია. რაიკომის მდივანს გულში ხალისიანად ეღიმებოდა. „გიორგი ფულარია კარგი კაცი ყოფილა, როგორ გამოიმეხინოდა ვლადიმერი“. რაიკომის მდივანი ჩაფიქრდა. მერე დიმილით გახედა ვლადიმერის გაშუქებულ სახეს და წამაქუზებელი ხმით შეეკითხა.

- როდის მოელი წერილს? — ყოველდღე. — მოდი, შენ დაასწარი. მისწერე როგორ დაუმალე გვარი და რატომ. მისწერე რას ფიქრობ, როგორ იმუშავებ მომავალში, ყველაფერი მისწერე. ეს იქნება გაზედული ნაბიჯი, რას იტყვი? — მეც ეს მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი, ახლა კი ყველაფერს მივწერი!

მეორე დღეს ვლადიმერი დოლაბერიძე მაგიდას მიუჯდა. უჯრიდან სუფთა ქალაღლი ამოიღო.

„მხანაგო გიორგი...“ შეუდგა ვლადიმერი ბარათის წერას. მისი სახლი სოფლის განაპირას ნევთან იდგა და მინდორში მომუშავე ტრაქტორების გუგუნე ყურებში საამოდ ჩაესმოდა. იგი ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, ბევრს ფიქრობდა და ცოტას წერდა.

ვლადიმერმა წერა დაამთავრა, ბარათი დაკეცა და ჯიბეში ფრთხილად ჩაიღო. იგი ჰიშკრიდან შარაგზაზე გავიდა. მისი სახლიდან კოლმეურნეობის კანტორამდე არც ისე მცირე მანძილი იყო, მაგრამ გზაზე არავინ არ შეხვედრია. „ყველანი მუშაობენ!“ კმაყოფილებით გაიფიქრა მან და ფეხს უფრო აუჩქარა.

გიორგი ფულარიას მშვიდი თვალები, თითქოს ისევე უმეგრდნენ ვლადიმერ დოლაბერიძეს, გულზე ცეცხლს უკიდებდნენ, მოუწოდებდნენ, წინ ეწეოდნენ, არ ასვენებდნენ.



ქართული
ბიბლიოთეკა



კ. გვიშვილი. ქართლის პეიზაჟი

შ. მამალაძე. ხანაპირო კუთხე





ქართული
ბიბლიოთეკა



მ. ხვითია
ეკალატეზი

მანქანები გარეან მინდვრად

მიხეილ ლავროვი



ფირუს რიყამაძე თბილისიდან ბრუნდებოდა. ლაგოდეხელმა მექანიზატორმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომას თავისი ბრიგადის მუშაობის გამოცდილება გააცნო. კარგ გუნდებზე იყო, მაგრამ ხანდახან შეფიქრანდებოდა: „როგორაა ნეტავ საქმე, თუ შეასრულეს ბიჭებმა დანაპირები?“. როცა ფირუსი თბილისში მიდიოდა, თავისი ბრიგადის წევრებმა გზად იმედი გააყალბეს—ნუ გეშინია, ფირუს, ჩვენს ტრადიციას არ ვუღალატებთ, მოწინავეები ისევ მოწინავედ დაგვცვდებიანო. მაგრამ ვინ იცის? ამ ბოლო დროს მექანიზატორთა ისეთი კადრები წამოვიდა, რომ უკეთესს, მგონი, კაცი ვერც ისურვებდა, ვასო გოგოლაძის ბრიგადა რიყამაძისას გაუთანასწორდა კიდევაც. ახლა სახელგანთქმულ ბრიგადირს ისლა აღარდებდა, გოგოლაძეს არ ჩამოვრჩევო.

სისხამ დილით, როცა ფირუსი მატარებლიდან სადგურ წინორში ჩამოვიდა და იქიდან ლაგოდეხისაკენ მიმავალ ავტობუსს გაჰყვა, სხულში მომეტებული ძალა იგრძნო. საავტომობილო მაგისტრალს იქით-აქეთ საკოლმეურნეო მიწდგრები პორიზონტამდე წვდებოდა. ალაზნის ველს ჯეჯილის ზურმუხტოვანი ხავერდი ჩაეცვა, მოწმენდილი ცა მზით გაბრწყინებულიყო.

შესანიშნავი სანახავია ამ დროს ალაზნის ველი... არავის ახსოვს ველზე ისეთი ბარაქიანი ჯეჯილი, როგორც წელს გაზაფხულზე ამოვიდა. რიყამაძე სულ რაღაც ოთხ დღეს დარჩა თბილისში და პურის ყანას ავერ სადამდე მოეყარა თავი! ნათესებს ყველაფერი დასტყობოდა: ადრე დათესვაც, მაღალი ხარისხის თესვიც, სასუქიცა და გაზაფხულის უხვი წვიმებიც.

— ეჭვი არ არის, ხორბლის მიღარ მოსავალს მოვიწყვთ, თუ გინდ ბელელში გვეტულებოდეს, — სთქვა ერთმა თანამგზავრმა.

ალაზნის მშვეება, ბაღები და ვენახები, ტურფა გაზაფხულს ვაშლისა და ალუბლის ხეების თეთრი ყვავილებით მოუქარავს. ირგვლივ ვარდისა და იასმინის სუნი დგას.

მიჰყვება რიყამაძე ამ გზას, ალაზნის ველ-მინდორი შუაზე რომ გაუკვეთია და გული ხარობს: აუპ, რა სივრცე აქვს მანქანას საჯირითო! სადღა სამანი, უსაზღვრო მიწდგრებზე შესანიშნავი საბჭოთა მექანიზმები დაგუგუნებენ.

ერთი საათის შემდეგ ფირუს რიყამაძე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში იყო. როგორც კი სამუშაო კომბინეზონი გადაიცვა, მაშინვე შემინდვრეთა ბრიგადის მიაშურა.

— როგორაა საქმე, ზომ არაფერს უჩივით? — ჰკითხა მექანიზატორმა ივანე გოგაშვილს.

— ვერ დავმდებრები შენს ბიჭებს. ყველაფერი რიგზეა. — მემინდვრე ბრიგადირის პასუხი რიყამაძეს ესამოგნა, მაგრამ მინდორზე მაინც გაიარა, თავისი ბრიგადის ნამუშევარი შეამოწმა.

— ჩვენი მთავარი მიზანი მოსავლიანობის გაზრდაა, — ეუბნება რიყამაძე თავისი ბრიგადის წევრებს. — ამას თითქოს მივალწიეთ კიდევაც, მოსავალი წლით-წლით მატულობს. მთელ რაიონში ყველაზე მეტი ხორბალი ისევ ჩვენ მოვიწყვით — ჰექტარზე ოცდაერთი-ოცდასამი ცენტნერი პური ავიღეთ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა.

თბილისში სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ყველა დანტერესდა იმით, თუ როგორ მუშაობდა რიყამაძის ბრიგადა მიმდინარე გაზაფხულის ცულ ამინდებში. მექანიზატორები მინდვრად თებერვალში გამოვიდნენ, მაგრამ ადრე დამდგარი თბილი დღეები დიდხანს არ გავრძელებულა. მზე, წვიმა, ქარი და სიცივე ერთმანეთს სცვლიდა. წამოთოვა კიდევაც, ყინვიანი ამინდები დიჭირა. ტრაქტორისტები თითქმის თვითთულ ხელსაყრელ საათს „იჭერდნენ“.

— ჩვენმა ფირუსმა ამინდსაც აჯობა და საქმეც გააკეთა, — ამბობენ ახლა კოლმეურნეები და მექანიზატორები.

კოლეგიის სხდომაზე კი ერთმა გამოჩინილმა მეცნიერმა ასე სთქვა: — ისეთი ადამიანები, როგორც რიყამაძე მეცნიერების წინსვლაში დიდად გვეხმარებიანო.

კომუნისტი მექანიზატორი ფირუს რიყამაძე ფართო აზროვნების ადამიანია. იგი, როგორც ლაგოდეხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის საბჭოს წევრი, მარტო თავისი ბრიგადისა და დანარჩენი ტრაქტორისტების მუშაობით კი არ არის დაინტერესებული. არ არის ისეთი დარგი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მუშაობაში, რომ რიყამაძეს დიდი თუ არა, პატარა მონაწილეობა მაინც არ მიეღოს.

ფირუს რიყამაძეს ჩვენ პირველად სამი წლის წინათ შევხვდით. იგი მაშინ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელ სესიაზე სიტყვით გამოვიდა. რამდენად წინ წავიდა მას შემდეგ რიყამაძე და მისი მანქანა-ტრაქტორთა სადგური!

სამეცნიერო საბჭოს ტრიბუნლიდან ტრაქტორისტი რიყამაძე მაშინ ტექნიკის სწორად გამოყენების შესახებ ლაპარაკობდა. ახლა კი სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე მან დააყენა საკითხი სოფლის მეურნეობიდან ხელით შრომის განდევნის, ყოველგვარ სამინდვრო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის შესახებ. ყუბანში ყო მობრძობა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დებუტატმა ივანე შაცკიმ დაიწყო. ამიტომაცაა, ფირუს რიყამაძეს თანასოფლელები ქართველ შაცკის რომ ეძახიან.

რა სახის მანქანა-მექანიზმს არ ნახავთ ალაზნის ველზე. საკოლმეურნეო მიწდგრების სიამაყე — ტრაქტორი-გიგანტი „ს-მ-მ“, თვითმავალი კომბინი, რომელიც ათეული ადამიანის სამუშაოს ასრულებს, ბალ-ბოსტნის კოპწია ტრაქტორი „ზტ-7“ და ვინ იცის კიდევ რა სახის საბჭოთა მარკის მექანიზმებს არ იყენებენ ალაზნისპირელი კოლმეურნეები. მემინდვრებმა და მეცხოველეებმა შარშან ყველა სამუშაოთა 90 პროცენტი მანქანებით შეასრულეს. რა თვალნათლივ სჩანს საბჭოთა სოფლის წინსვლა!

რიყამაძის ბრიგადისათვის, ისევე, როგორც მთელი სადგურისათვის დამახასიათებელია სამუშაოთა წარმოების გეგმიანი ზრდა. სადგური ყოველწლიურად ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმას და, როგორც წესი, საშემოდგომო ხორბლის მოსავალს თვითთულ ჰექტარზე ოცი ფუთით ზრდის. 1949 წელთან შედარებით, 1951 წელს ყოველი ტრაქტორის გამო-მუშავება ას ჰექტარზე მეტით გაიზარდა.

ლაგოდეხელ მექანიზატორებს მარტო დღევანდელი დღე როდი ადევლებთ, ისინი ხვალისკენ იცქიერებიან, იმით ცხოვრობენ. 1.000.000 და 2.500.000 — ეს ორი ციფრი აქაური ტრაქტორისტების დღევანდელი საზრუნავი საგანია. ერთი მილიონი ფუთი ამ ზაფხულზე ასაღები ხორბლის რაოდენობაა, ორნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი კი 1957 წელს იქნება აღებული.

იმ კოლმეურნეობათა მინდვრებზე, რასაც ლაგოდეხელი მექანიზატორები ემსახურებიან, მოსავალი წლით-წლით მატულობს, ნახნავის სიღრმე შესამჩნევად იზრდება, ნათესებსაც უკეთესად უვლიან. ხარისხიანი ნათესთა ფართობიც ბევრად გაიზარდა. უმეტესად, კოლმეურნეობებში ჯვარდინი და ვიწრო რიგში თესვა გამოყენებული.

მაშ, კიდევ რაღა უნდა სურდეთ ამ ადამიანებს? ლაგოდეხელებს კი თითქოს რაღაც ადევლებთ, ვერ ისვენებენ, სულ რაღაც ახალს, უფრო სრულყოფილს ეძებენ.

აი, დღესაც სადგურის დირექტორი პართენ ქემოკლიძე, მისი მოადგილე პოლიტარგში ლევან ლომთაძე, მექანიკოსი ჭიჭიკო ლლონტი და რამდენიმე ბრიგადირი გაცხარებით კამათობდნენ იმაზე, თუ რატომ მთლიანად მექანიზებული არ არის ნათესებში სასუქის შეტანა, რატომ არ არის მთლიანად გამოყენებული სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, რატომ...

ლაგოდეხელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უახლოეს ორ წელიწადში კომპლექსური მექანიზაციის გატარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგური საკოლმეურნეო წარმოების ყველა პროცესში ხელით შრომას ტექნიკა, მანქანა შეცვლის.

— ამას წინათ, — ამბობს რიყამაძე, — გამოვიანგარიშე, რომ წელს სოფელი ცოდნის ყოველი მეხუთე კოლმეურნე ერთ რაიმე მანქანას მოემსახურება. რა შესანიშნავია: მუშაობა მხოლოდ მანქანით! ჩვენ უკვე ვცხოვრობთ მომავალში...

ბრიგადირის გამონაგარიშება ყველას მოეწონა.

— გუშინ ოლიდან დარეკეს, — დაუმატა დირექტორმა — კიდევ ერთ ხორბლის საწმენდ ელექტრომაგნიტურ მანქანას გვაძლავს. ეს ხორბლის გაწმენდის მთლიანად მექანიზირების საშუალებას მოგვცემს. ერთი წლის წინ კი, ხომ გახსოვთ, ამ საქმეს ნიჩბითა და ქარის დახმარებით ვაკეთებდით.

უფრო შორეულ წლებში კი რა იყო... სულ რაღაც ოცდაათი წელიწადი დაშორებული დღევანდელი სოფელი ცოდნა შეგხვდებოდა, მაგრამ ეს ორი სოფელი, როგორც დღე დამეს, ისე არა ჰგავს ერთმანეთს. მარტო გარეგნულად კი არა, გლეხის მამინდელი და ახლანდელი ცხოვრებაც სრულიად სხვადასხვაა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ცოდნაში ოცი ქონი იდგა. ახლა — ორასი ოღა. სოფელში წინათ სიბნელი, სიღატაკე და გაპირვება მეფობდა. წერაკითხვის მცოდნეს სად ნახავდით! წერილის დაწერა რომ ვინმეს მონდომებოდა, ამისათვის ფეხით ლაგოდეხში უნდა წასულიყო, ეგებ კანცელარიის მწერალმა დამეწერებოდა. ახლა ცოდნაში წერაკითხვის უცოდინარი არავინ არის.

თავიანთი მისწრაფება და მიზანი აქაურმა გლეხებმა იმაშიც გამოხატეს, რომ სოფელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ცოდნა უწოდეს. ცოდნელები ცოდნისკენ ისწრაფვიან აქაურ კოლმეურნეთა შვილები თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში სწავლობენ. ეს კიდევ არაფერი, ცოდნელები თვითონაც ასწავლიან; ლაგოდეხის და სხვა რაიონებშიც მრავლად მუშაობენ ცოდნელები აგრონომებად, ექიმებად, ინჟინრებად. ყოველ სახლშია რადიო, ელექტრონი ბეგრ ცოდნის გამოწერილი აქვს ჟურნალები „ბოლშევიკი“, „მნათობი“, „დროშა“, „მეცნიერება და ტექნიკა“, „ნიანგი“.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ბეგაშვილი — სიტყვაძეწი კაცია. ოღონდ, როგორც კი საუბარი ცოდნაზე და კოლმეურნეთა განათლებაზე ჩამოვარდება, გიორგი მცის შეიცვლება ხოლმე, ენაწყლიანი ხდება. ასე იყო გიორგის და ფირუსის ამასწინანდელი შეხვედრის დროსაც.

— მაშასადამე, მალე ყველა სახის სამუშაო მექანიზებული იქნება, არა? აღფრთოვანებით იმეორებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე რიყამაძის სიტყვებს. და შემდეგ დასძენს: — კოლმეურნეთა მაგივრად მანქანები იმუშავენს, მანქანის მართვისათვის კი ცოდნა საჭირო. ჩვენი კოლმეურნეები ამისათვის ენერჯიას არ ზოგავენ, ყველა სწავლობენ. ბევრი მათგანი სამწლიანი აგროსოცტექნიკური კურსების ფრიადისონობასაც აღარ სჯერდება და ახლა თავისი მეათე, მეათერთეტკლასელი შვილებისაგან იღებს დამატებით ცოდნას, ქიმიის, ფიზიკის, ბოტანიკის, ბიოლოგიის საფუძვლებს სწავლობს...

ბეგაშვილი გაზუმდა და ფანჯრისკენ მიბრუნდა. წინ ალაზნის ველი იყო გადაშლილი. მისი სიღამაზისათვის თვლი ვერც რიყამაძეს მოეწყვიტა. რა უსაზღვრა, დიდებული და საყვარელი ალაზნის ველი! თავმჯდომარე და ბრიგადირი ნახევრადმოსუპული თვალებით, თითქოს ჩვენითვის რაღაც უხილავს უცქერიანო, უსაზღვრობაში იმზირებოდნენ. მათ წინ საოცნებო სურათები იხატებოდა...

...დამწიფებული ყანა თვალუწვდენელ ზღვასავით გაშლილა. ცივგზობრიდან მონატროლი ნიაგი ოქროს ტალღებს მდორედ არწევს. რა სიმდიდრეა, რა ბარაქა, ვინ აიღებს ულევ მოსავალს! მაგრამ, აი, დანიშნულ დროს ყანას თვითმავალი კომბინი მიადგენს. გზებზე ხორბლით დატვირთული საბარგო ავტომანქანების უწყვეტი ნაკადი. სახმრეთის მცხუნვარე მზეზე გალწვილი დოლის პური ქარვასავით ეღვას...

პროგრესი:

დგომიანი, მოსტაკოვიჩი, ცინცაძე...

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი 10 წლის წინათ ჩამოყალიბდა. კვარტეტის მონაწილეებმა ბორის ჭიაურელმა, გივი ხატიაშვილმა, ალექსანდრე ბეგალიშვილმა და სულხან ცინცაძემ პირველ წლებიდანვე მიიპყრეს საბჭოთა კავშირის მუსიკალური საზოგადოების ყურადღება.

ვიოლონჩლისტი ს. ცინცაძემ თავი გამოიჩინა, აგრეთვე, როგორც კომპოზიტორმა. მან კვარტეტისათვის დამუშავა მთელი რიგი სიმღერებისა, რომლებიც დიდი წარმატებით სრულდებოდა კამერულ კონცერტებზე. 1946 წ. ს. ცინცაძის მოსკოვის კონსერვატორიაში გადასვლის შემდეგ, მის აღვლას კვარტეტში იკავებს ვიოლონჩლისტი გიორგი ბარნაბიშვილი.

სანგარდოვი, ენერგიული და ბევრით მუშაობით კვარტეტის მონაწილეებმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. ისინი კვარტეტული შესრულების პროფესიონალური ოსტატები გახდნენ.

კვარტეტთან ერთად კონცერტებში ხშირად იღებდნენ მონაწილეობას (საფორტეპიანო კვარტეტების და კვირტეტების სახით) ცნობილი საბჭოთა შემსრულებლები — ა. გოლდენვეიგერი, გ. ნეივაუზი, ე. გილელი, ს. რიხტერი, ა. იოსელიანი და ნ. დორლიაკი. ასეთმა კონცერტებმა დიდად გააუმჯობესა კვარტეტის შესრულების სტილი.

ნიჭიერ კოლექტივს დამახარებლად თვლიან რუსული კლასიკური საკვარტეტო მუსიკის პროფესორები. მათ პროგრამაშია ჩაიკოვსკის, ბოროდინის, ტანეევის, საბჭოთა კამერული მუსიკის ავტორების შოსტაკოვიჩის, მის-კოვსკის და ფილიპენკოს კვარტეტები, აგრეთვე, სომეხი კომპოზიტორის ასლანაზიანის პიესები.

ანსამბლის რეპერტუარშია აგრეთვე, მოცარტის, ჰაიდნის, შუბერტის, მენდელსონის, სმეტანას, დვორჟაკის კვარტეტო ციკლები და ბეთოვენის 17-ე კვარტეტი.

10 წლის განმავლობაში კვარტეტმა დიდი როლი შეასრულა ქართული კამერული მუსიკის განვითარებაში. მის პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი კომპოზიტორები — ს. ცინცაძე, ნ. გუდიაშვილი, ი. ტუსკია, რ. გაბიჩაძე, რ. ლალიძე და სხვ.

10 წლის განმავლობაში კვარტეტმა 400-მდე კონცერტი გამართა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. 1950 წელს კი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა მონაწილეობა მიიღო სიმებიან კვარტეტთა საერთაშორისო კონკურსზე, ბრალში. აქ საქართველოს სახელმწიფო კვარ-

ტეტს მიენიჭა მეორე პრემია და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობის საპატიო წოდება. ქართულმა კვარტეტმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის 17 ქალაქში გამართა კონცერტი, მათ შორის, ბერლინში, პოტსდამში, ცვიკაუში, შვერინში და სხვ.

კონცერტების დღეს ბილეთების შოვნა შეუძლებელი იყო. ჰაიდნის, მოცარტის, ბეთოვენის, შუბერტისა და შუმანის კამერული მუსიკის კლასიკურ ნაწარმოებებზე აღზრდილი გერმანიის მუსიკალური საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის საკვარტეტო პიესებს. ს. ცინცაძის საკვარტეტო მინიატურების შესახებ ასე სწერდა გერმანული დემოკრატიული გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“: „ისინი ამტკიცებენ, რომ ნადავგამოფიქტული კამერული მუსიკა გერმანიაში, შეიძლება კვლავ განაყოფიერდეს მხოლოდ ხალხთან კავშირით“. „ხელოვნების ამ დარგმა, რომელსაც ბეთოვენის სამშობლოში დაღუპვა ემუქრება, — სწერს გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ კამერული მუსიკის შესახებ, — სრულ აყვავებას მიაღწია საბჭოთა კავშირში“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესამ მაღალი შეფასება მისცა კვარტეტის მონაწილეებს. აი, ზოგიერთი რეცენზიის სათაური: „საბჭოთა ვირტუოზებისაგან გამოწვეული აღფრთოვანება“ („ბ. ც. ამ ახენდი“ 1950 წ. 27/IX), „საბჭოთა კამერული მუსიკა მთელი თავისი ბრწყინვალეობით“ („ფრიდენბოხტი“ ბერლინი. 1950 წ. 1/X), „განსაცვიფრებელი ქართული კვარტეტი“ („დი-ტაგესბოხტი“ 1950 წ. 29/IX).

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორების მრავალი ნაწარმოები კვარტეტთან მჭიდრო თანამშრომლობაში იქმნება. კომპოზიტორებისა და კვარტეტის მონაწილეების ეს შემოქმედებითი თანამშრომლობა ქართული კამერული მუსიკის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს.

კვარტეტის მონაწილეებს არანაკლები დამსახურება მიუძღვით საბჭოთა მუსიკოსების ახალი თაობის აღზრდის საქმეში; თბილისის კონსერვატორიის დოცენტები ბ. ჭიაურელი, გ. ბარნაბიშვილი და ასისტენტი ა. ბეგალიშვილი ნაყოფიერ ბედაგოგიურ მუშაობას ეწევიან.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეებს, ბორის ჭიაურელს, გივი ხატიაშვილს, ალექსანდრე ბეგალიშვილს და გიორგი ბარნაბიშვილს შესრულების მაღალი ოსტატობისათვის სტალინური პრემია მიეკუთვნათ.

სონეტიანი

თარგმანი ინგლისურიდან გივი ბარჩილაძისა

მუსიკაც, ჩემო ოდეს სიმებს აღეგებ განგებ და შეეხები ხის კლავიშებს ნაზი თითებით, მე ყურს მივაბყრობ ხმაშეწყობით მჩქეფარე პანგებს და ტკბილი ქვრით მოხიბლული გავირინდები. ალსავე შურით, მაგრამ რიღით და გაყურებით ვუყურებ ხოლმე: ხე შენს ხელებს როგორ ენდობა; იქ, შენს მახლობლად, ცახცახებენ ჩემი ტურები და მათ აწითლებთ მომღერალი ხის თავხედობა: მთელი არსებით კლავიშებად ქცევა მწაღია. საკრავს დაწყობილ ნაფოტებად დავეფარები, ვიგრძნობ, თითები ჩემს სხეულზე როგორ დადიან და ამავსებენ ყრუანტელით და ნეტარებით!

თუ არა, ერთს გთხოვ ამისრულო დაბეჯითებით: მე მომეც ბავე, — ბედნიერ ხეს დარჩეს თითები

მიყვარს თვალები მგლოვიარედ გამოშვირალნი: ისინი გრძნობით შეპყურებენ ჩემს მწუხარებას, შავით მოსილნი, მოზარენი, ჩემთვის მტირალნი სწუხან, რომ შენს გულს სიბრაულელი არ ეკარება. და მართლაც დილის მზის სხივები ნაკლებ უხდება აღმოსავლეთის მოღრუბლულ და ნაცრისფერ სახეს, მწუხრის ვარსკვლავი ნაკლებ ბრწყინავს ჩამქრალ ღრუბლებთან

და ცის დასავალს სიმშვიდეში ნაკლებად გახვევს, ვიდრე შენს სახეს მგლოვიარე შავი თვალები. და თუ შენს გულსაც გლოვისფერი ასე ანაზებს, იტირე ჩემთვის თანაგრძნობით და შებრალებით და შავი ფერი დაამშვენებს შენს სილამაზეს.

და მე შეფიცავ, რომ თაყვანს გცემ თვალთა დაღრმებს, და ვაღიარებ სილამაზეს მუქს და შავგვრემანს.

ჩემს თვალსა და გულს დიდი ბრძოლა აქვთ გამართული ორივეს შენი მითვისება სურს ხელუხლებლად, — თვალს მისად უნდა გარეგნობა შენი მხატვრული, გული გთვლის თავის საკუთრებად, თავის უფლებად. „ჩემი სატრფოო“, — ჩივის გული: — „ჩემთანვე მიგის, ცხრაკლიტულში მყავს იგი, ავ თვალს არ ეჩვენება“; მაგრამ თვალები უარყოფენ გულისა ჩივილს და მათს სიღრმეში აღბეჭდილად შენი მშვენება. ფიქრთა სამსჯავრომ გაარჩია მათი ხარჩელი; რათა ჰქონოდა დასასრული დავას კეთილი, გამოიტანა მორიგების ეს განაჩენი, ნაფიც მსაჯულთა შეკრებისას გადაწყვეტილი: შენი არსება ახლა ორად გაყოფილია: გულს გული ერგო, თვალი — თვალით კმაყოფილია.



საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი. ფოტოზე (მარცხნიდან) სტალინური პრემიის ლაურეატები: საქ. სსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ბ. ჭიაურელი, საქ. სსრ დამსახ. არტისტები — ალ. ბეგალიშვილი, გ. ბარნაბიშვილი, გ. ხატიაშვილი.

იბნ-სინა

იბნ-სინა, ანუ სრულად აბუ ალი შუსეინ ბენ-აბდულაჰ ბენ-ჰასან ბენ-ალი იბნ-სინა, დასავლეთ ევროპაში ლათინური სახელით—ავიციენად ცნობილი, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ისტორიული როლი შეასრულეს კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში.

მისი მოღვაწეობა მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელი წლებითა და მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრით განისაზღვრება.

იბნ-სინა დაიბადა ქ. ბალზში 980 წელს. მამამისი გადარდა იბნ-სინის ამირთაგანის მოხელე იყო.

ტაჯიკი ხალხის ისტორიაში ეს ის პერიოდია, როდესაც მდინარე ამუ-დარიისა და სირ-დარიის შუა მდებარე მდინარეებს ფლობდა სამანიდების დინასტია (875-999). სამანიდებმა შექმნეს ტაჯიკთა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქად ბუხარა გამოაცხადეს. ამ დროისათვის ბუხარა, სამარყანდთან ერთად, მუსულმანურ-ფეოდალური აღმოსავლეთის დიდ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა.

ასეთ ვითარებაში ჩავიდა 5 წლის შუსეინი ბუხარაში. მამა ცდილობდა ნიჭიერი ბავშვისათვის კარგი განათლება მიეცა. მან ბუხარის გამაჩინელი სწავლულნი მიუჩინა ბავშვს. 10 წლის იბნ-სინამ უკვე კარგად იცოდა გრამატიკა, სიტყვიერების თეორია, სტილისტიკა, მათემატიკა. თითქმის დამოუკიდებლად შეისწავლა ასტრონომია, ხოლო არისტოტელის ფილოსოფიას კარგად გაეცნო შუა აზიელი ფილოსოფოსის, შუა საუკუნეებში „მეორე არისტოტელად“ ცნობილ აბუ ნასრ ალ-ფარაბის კომენტარების მეშვეობით.

მედიცინასა და ბუნებისმეტყველებას მას ბუხარელი ექიმი აბუ-ლ-მანსურ ალ-კაშირი ასწავლიდა. გონებრივად მისი მოწოდება იქნა დიდი მკურნალის სახელი მოიხსენიება და მასწავლებელსაც გადააპარბა.

გაფორებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც, ერთის მხრივ, ყურანის დოგმატიკობისა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა განსჯის მიხედვით, ერესულ მიმართულებათა შორის სწარმოებდა, ფართოდ განსწავლული იბნ-სინა სერიის მაყურებლად არ დარჩენილა. იგი მომზადდებოდა ჩაება ამ ბრძოლაში და ჩქარა მისი წამმართველიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება მამის მეშვეობით ისმალის ტიპის წრეში მოხდა, მან თავისი გარკვეული, დამოუკიდებელი შეხედულებების გამო ერთიკისის სახელი დაიმსახურა.

შუა საუკუნეების სქოლასტიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებმაც, ლენინის გამოთქმით, მოკლეს არისტოტელში ცოცხალი, არსებითი და უკვდავ-შეცვლადი მკვდარი, უსულო, იბნ-სინამ შემოქმედებითად აითვისა არისტოტელის ფილოსოფია და მონერსებულად იმარჯვებდა მას იდეოლოგიურ ბრძოლაში.

რამდენადაც უფრო საყვარელი ხდებოდა მშობლიური ხალხისათვის იბნ-სინა, იმდენად უფრო მტრულად უყურებდნენ მას რელიგიის მხსნენი.

დერვიშული მისტიკოსი ალ-შაჰადი თავის წიგნში „უკუგდება ფილოსოფოსებისა“, აღმუთხებულად თავს ესხმის იბნ-სინას ადამიანის გონებისადმი, ადამიანურ განსჯისადმი ნდობისათვის. განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ალ-შაჰადი იბნ-სინას შეხედულებას სამყაროს მუდმივობის შესახებ. იბნ-სინა აღიარებს რა სამყაროს წარმოშობის არაღვთიურობას, აკეთებს ნაბიჯს ღმერთის სამყაროსთან ფაფივებისაკენ, რაც დამახასიათებელი იყო მრავალი იმდროინდელი მოაზროვნისათვის, რომლებიც შემდგომში ათეიზმში გადავიდნენ.

ყურანის მქადაგებლების შემოტევას ზედ დაერთო ის გარემოება, რომ სამანიდების დინასტია დაეცა. იბნ-სინას მდგომარეობა ბუხარაში შეირყა. იგი 1002 წელს გადადის ხორეზში, ხორეზშიშაჰის ალი იბნ-მამუნის კარზე.

1017 წელს ხორეზმელთა დინასტიაც დაეცა და ხორეზში შევიდა ლაზნეველთა დინასტიის სამფლობელოში. სწავლულნი და ხელოვანნი იძულებულნი გახდნენ ლაზნაში (ახლანდელი ავღანისტანის ტერიტორიაზე) მრისხანე მამშულ ლაზნეველის კარზე გადასულიყვნენ. იბნ-სინამ ამ დეპორტსა და ბნელ კაცთან წახვალს ირანში გაქცევა ამჯობინა, სადაც დიდი ცოდნის წყალობით პატივით ექნა მიღებული. იგი ჰამადანსა და ისპაჰანში კარის ექიმად და ვეზირად დაინიშნა.

იბნ-სინამ მრავალი წვალევა გადაიტანა სხვადასხვა დინასტიებს შორის წარმოებული შუღლისა და ბრძოლის გამო, რაც ასე დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეებისათვის. მეორეს მხრივ, დიდ სწავლულს განუწყვეტლივ ავიწროებდნენ და დევნიდნენ მუსულმანური სქოლასტიკის მხსნენი.

აქთანლილ გელაჰილი

დიდი და მრავალმხრივია იბნ-სინას მოღვაწეობა. იგი მთელ თავის შემოქმედებაში იცავდა და აწვითარებდა იმ შეხედულებას სამყაროს შესახებ, რომელიც ფილოსოფიურ წერილებში ჰქონდა გამოთქმული. ტრაქტატში ქვების შესახებ, რომლის ლათინური თარგმანი შემონახულია ჩვენამდე, იბნ-სინა შესანიშნავ აზრებს გამოხატავს მთების წარმოშობაზე, მთები, მისი აზრით, შესაძლებელია წარმოშობილიყვნენ ან დედამიწის ზედაპირის ამოწვევით, მაგალითად, მიწისძვრების დროს, ან წყლის დაწვევის შედეგად. ასეთი პროცესებისათვის, იბნ-სინას თქმით, საჭიროა მეტად დიდი დრო. იბნ-სინა შესაძლებლად თვლის მთის ზოგადი ქანების წარმოშობას უძველესი ზღვების გავლენით, რომლებითაც დაფარული იყო ოდესღაც ეს მთები. აქედან იგი ხსნის წყლის ცხოველთა შემორჩენას მთებში და ცხოველთა გაქვავებულ ნაკვალევს კლდეებზე.

ვისთვისაც ცნობილია ამ საკითხის გეოლოგიური და პალეონტოლოგიური გაგება, რომელიც გაბატონებული იყო იმ დროს აღმოსავლეთსა და დასავლეთში, მისთვის ცხადია, თუ რამდენად წინ უსწრებდა იბნ-სინა მეცნიერული აზრით თავის ეპოქას.

მიუხედავად მრავალმხრივი მოღვაწეობისა, იბნ-სინა მეტ დროს თავის საყვარელ საქმეს — მედიცინას უთმობდა. მრავალმხრივმა განსწავლულობამ საშუალება მისცა მას მედიცინა მეცნიერების სხვა დარგებთან ურთიერთკავშირში განეხილა და მისთვის თეორიული საფუძვლები განემტკიცებინა.

მედიცინას მიუძღვნა მან თავის დროისათვის ენციკლოპედიური ხასიათის ხუთტომიანი წიგნი — „მედიცინის კანონი“. ამ წიგნის I ტომში განმარტებულია მედიცინის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი ამოცანები და დამოკიდებულება ფილოსოფიასთან. მოცემულია ზოგადი სწავლება დაავადებებზე, სწავლება ელემენტებზე, ორგა-

ნიზმის წვენივზე და მათთან დაკავშირებულ ტემპერამენტზე. მას მოსდევს ანატომიური და ფიზიოლოგიური მონაცემები ჰიპოკრატესა და გალენის ტრადიციებზე დაყრდნობით.

რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ წიგნში, იბნ-სინა ელაშქრებს შუა საუკუნეებში გავრცელებულ მისტიკურ-ასტროლოგიურ მიმდინარეობის წინააღმდეგ მედიცინაში, რომელიც ადამიანის სხეულის ჯან-

მრთელობასა და ავადმყოფობას ციურ სხეულთა მდგომარეობას უკავშირებდა. იბნ-სინამ დასაბუთა ამ შეხედულების უსაფუძვლობა და დაჰკმო იგი.

ამავე ტომის ცალკე განყოფილებაში, დიეტიკურ და პროფილაქტიკურ დარგებთან გვერდით, უყრადღებს იმერობს ბუნებრივ საშუალებათა გამოყენების საკითხი ორგანიზმის გამოწრთობისა და მკურნალობის საქმეში.

მე-2 ტომი სამკურნალო ნივთიერებებს ეხება. იბნ-სინა საზგასმით აღნიშნავს კლიმატის გავლენას ორგანიზმზე. საერთოდ, მდიდარია იბნ-სინას სამკურნალო საშუალებათა არსენალი. მისთვის კარგად ცნობილია მძიმე ლითონთა სამკურნალო გამოყენება. წიგნში მოყვანილია არა მარტო გალენისა და დიოსკორიდის, არამედ აღმოსავლეთის ექიმთა აზრებიც.

მე-3 ტომში განხილულია დაავადებანი. დაავადების გარჩევას წინ უძღვის ორგანიზმის აგებულების განხილვა, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დაავადებაში გასარკვევად ანატომიური თავისებურებანი გაითვალისწინოს. ამით ერთგვარი საფუძველი ეძლევა დაავადების მორფოლოგიურ ცვლილებასთან დაკავშირებას.

ამ ტომში თითქმის ყველა სისტემებისა და ორგანოების დაავადებები განხილული. უფრო დაწვრილებით აღწერილია მამაკაცის საჭესო ორგანოების აგებულება და დაავადებები. მეანურ-გინეკოლოგიური მონაცემები წიგნში შედარებით მცირეა.

მე-4 ტომი ინფექციურ სნეულებებს ეხება. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ დაავადებათა წინაშე, მიმდინარეობას, დაწვევისა და კრიზისის საკითხებს.

მე-5 ტომში მოცემულია წამლების მომზადების წესები.

დიდი მკურნალი, წიგნში დაყენებულ მრავალ საკითხში, საკუთარ პრაქტიკულ სამედიცინო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესანიშნავ, ორიგინალურ დებულებებს აწვითარებს.

ამ წიგნმა მთელი ეპოქა შექმნა მედიცინაში. მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ საკმარისია ითქვას, რომ ჯერ ისევ მე-17 საუკუნეში ამ წიგნის ცოდნა ყველა ექიმისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა.

იბნ-სინას ქართველი ხალხიც კარგად იცნობდა. ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში იგი სინაის-ძედ იხსენიება. „წიგნი სააქიმო“-ში ჰიპოკრატესა (ბაგრატის) და გალენის (ჯანაოზის) გვერდით სინაის-ძის (იბნ-სინას) არაერთი აზრია მოყვანილი სამედიცინო საკითხების შესახებ (გვერდები: 42, 44, 98, 159 და 174).

შემთხვევითი არ არის იბნ-სინას დიდი ფილოსოფიური შინაარსის მხატვრული ნაწარმოების „სალამანისა და ახსალას“ მთავარი გმირის სხენეა „ვეფხისტყაოსანში“.

თვით იბნ-სინას არა ერთი პოეტური ძეგლი შეუქმნია. რამდენიმე მეცნიერული შრომა ლექსად აქვს მას დაწერილი.

იბნ-სინას ასევე მეტი შრომა აქვს დაწერილი ფილოსოფიისა და მათემატიკის, მედიცინისა და ბუნებისმეტყველების, ასტრონომიისა და ქიმიის სხვადასხვა საკითხებზე. მარტო „სამედიცინო ტერმინთა სიტყვარი“ 5 ტომისაგან შესდგება, „სამკურნალო წიგნი“ 17 ტომისაგან, „კომენტარები არისტოტელის შესახებ“ 20 ტომისაგან და ა. შ.

ცნობილი ქიმიკოსი ბერთოლდ აღიარებს იბნ-სინას დამახარებლად აღიქმისაში და ამბობს, რომ მისი (ე. ი. იბნ-სინას. ა. გ.) შეხედულებანი აშუქებენ წმინდა ქიმიის მოვლენებს და ავსებენ ხარვეზებს ორგანული ქიმიის ისტორიაში.

ათასი წელი გავდა იბნ-სინას გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი სახელი დაიფიქვებას არ მისცემია. ჩვენ დროში იბნ-სინა და მისი შემოქმედება მთელი სიღრმადით წარმოვსა. მისი სახელი, ისევე, ძვირფასი და საყვარელია საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის, როგორც ძვირფასი და საყვარელია მისი სახელი ტაჯიკი ხალხისათვის.

აბუ ალი იბნ-სინა

რ. ბ. ბ. ი. ბ. ბ.

1

მიწის პირიდან ზულამდე, როგორც მისანი, იღუმალ ძალებს გავცნობოდი მქონდა მიზანი. მე შევიცანი საიღუმლო ცისა და მიწის, მაგრამ სიკვდილის საიღუმლო ვერ შევიცანი!

2

თუმც ურწმუნო ვარ და ღვთაების არა მაქვს რიდი, მაინც მაქვს რწმენა ჩემებური, წმინდა და დიდი. მე, ასე ძლიერ მორწმუნე კაცს ღმერთი რომ არ

მყამს,

მამ ქვეყნად ვის სწამს, როგორც ღმერთი, ალაჰი ვლიდი!

3

ამ ქვეყანაზე, თუმცა ცოდნით სხვებზე წინა ვარ, ვერ გამიგია რისთვის მოველ, რა ვარ, ვინა ვარ. ან გამასარა ამ ქვეყნიურ ბედნიერებით, ანდა ამ ქვეყნად, ნეტავ, სულ არ დამაზინავა!

4

ვარ ცხოვრებაში უამრავი ტანჯვის მნახელი, სიცხით მდაგველი უდაბნოთა გადამლახველი, სრულქმნილების ზგას ვეძიებდი სიბრძნის ჩირაღდნით, ამაოდ დავშვერ! — აი, ჩემი გულის ნაღველი!

ტაჯიკურიდან თარგმნა

მაგალი თოღუშა



უფიჯისი ნიბნოსაცავი

კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დღის განმავლობაში 800-900 მკითხველი შემოდის. მათ შორის არიან სტუდენტები, სწავლულეები, პედაგოგები, ინჟინრები, ექიმები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მოწაფეები, საბჭოთა არმიის ოფიცრები.

ბიბლიოთეკაში რამოდენიმე სამკითხველო დარბაზია: მთავარი საერთო დარბაზი, დარბაზი მეცნიერ-მუშაკათვის, პერიოდულ გამოცემათა დარბაზი და სპეციალური დარბაზი ქართველოლოგიისა და კავკასოლოგიის დარგში.

წიგნთსაცავის თაროებზე 1.915 ათასი ტომია მოთავსებული. აქ ნახავთ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ენებზე გამოცემულ წიგნებს. ამას გარდა, ბიბლიოთეკაში ინახება გაზეთების 115 ათასი კომპლექტი, ჟურნალების, ნოტების, რუკათა ატლასებისა და ალბომების 630 ათასა შეკვრა.

ბიბლიოთეკა აგროვებს ყოველგვარ შასალას, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიულ და კულტურულ საგანძურს მიეკუთვნება. განსაკუთრებულ ფონდში ინახება ქართულ ენაზე დაბეჭდილი პირველი წიგნი, რომელიც 1629 წლით არის დათარიღებული, შოთა რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლის თარიღით, მოსკოვში გამოცემული პირველი ქართული წიგნი 1705 წლის თარიღით და 1670 წელს გამოცემული მაჯიოს ქართული გრამატიკა.

ბიბლიოთეკის საგანძურში შედის აგრეთვე ტყავზე, პერგამენტზე და ხის დაფებზე შესრულებული ძველ ქართულ ხელნაწერთა ძვირფასი კოლექციები. ეს უნიკალური მასალები მიეკუთვნებიან ჩვენი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეს. აქ ხდება ამ ხელნაწერთა გულ-



მოდგინედ, ყოველმხრივ შესწავლა: აღდგენენ ტექსტის იმ ადგილებს, რომლებიც დროთა განმავლობაში წაიშალა, გვიანდელი წარწერების ქვეშ კითხულობენ აღრინდელს და სხვ.

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა 1923 წელს დაარსდა. მაშინ აქ მხოლოდ 60 ათასი წიგნი იყო. 10 წლის შემ-

დეგ ე. ი. 1933 წელს წიგნების რიცხვმა უკვე 327 ათასს, ხოლო 1940 წელს კი — ნახევარ მილიონს მიაღწია. საჯარო ბიბლიოთეკა, როგორც წესი, საბჭოთა კავშირის ყოველგვარი ბეჭდვითი გამოცემის თითო ეგზემპლარს ლეზულობს.

წიგნების რიცხვის ზრდასთან ერთად

ფოტოზე — ზემოთ: მთავარი სამკითხველო დარბაზი—ყოველდღიურად 1000-მდე მკითხველს ემსახურება. ქვემოთ: ბიბლიოთეკარები მ. გელაშვილი (მარცხნივ) და ნ. სტეპანიანი წიგნთსაცავის თაროებთან.

იზრდება მკითხველთა რაოდენობაც. 1931 წელს ბიბლიოთეკას 13,5 ათასი მკითხველი ჰყავდა, 1940 წელს — 185 ათასი, 1951 წელს კი თითქმის 232 ათასი, რომელთა სახელზე გაკემული იქნა 667 ათასზე მეტი წიგნი და ჟურნალი.

საჯარო ბიბლიოთეკა რესპუბლიკის მრავალ ბიბლიოთეკას ემსახურება. აქ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის წერილები. მადლობას უხდის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს წიგნებისა და ბიბლიოგრაფიული სიების დროზე მიწოდებისათვის კიეველი მეცნიერ მუშაკები: ი. ნაზარენკო და ფ. ჩერნუხა. ნ. გლადკოვი—ნოვოჩერკასკიდან, ალბრუტი — მაგნიტოგორსკის პედინსტიტუტიდან, პოლიაკი და ი. ახალაია — ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნიდან

სამეცნიერო ლისერტაციის მომზადებაში ბიბლიოთეკის უდიდესი დახმარების შესახებ ლაპარაკობენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი, კიროვის სახელობის დაზღვათმშენებელი და 26 კომისიის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების ინჟინრებმა.

ბიბლიოთეკის მუშაობის მნიშვნელობა მართო იმით კი არ განისაზღვრება, რომ იგი წიგნებით ამარაგებს მკითხველებს,—ბიბლიოთეკა მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმებსაც მიმართავს; აქ ხშირად მართავენ გამოფენებს. ამას წინათ, გაიხსნა ლენინის და სტალინის შემოქმედებითი მეგობრობისადმი მიძღვნილი გამოფენა. სპეციალურ სტენდებზე თავმოყრილია წიგნები, რომლებიც მკითხველს ეხმარება ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლაში.

მკითხველები სიყვარულით ლაპარაკობენ გოგოლის ცხოვრებისა და შემო-





ფოტოზე: ქართველოლოგიის კაბინეტის გამგე თ. დონდუა და ლაბორატორიის გამგე გ. პოგარელოვი მუშაობენ XVIII საუკ. ხელნაწერ ტექსტზე წაშლილი ადგილების აღსადგენად.

ქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის შესახებ.

მაღალი შეფასება მიიღეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა კოლექტიურ ნამუშევრისათვის თემაზე: „ი. ბ. სტალინის სახე ქართულ პოეზიაში“. ფართო მეცნიერული მუშაობა წარმოებს ბიბლიოთეკაში, აქ იკვლევენ და სწავლობენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა არქივებს.



საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა ნიკო ნიკოლაძის მიმოწერა XIX საუკუნის მოწინავე რუს საზოგადო მოღვაწეებთან. კერძოდ, წიგნში წარმოდგენილია ნ. ნიკოლაძის წერილები ნ. ჩერნიშევსკისა და გ. უსპენსკისადმი.

საჯარო ბიბლიოთეკა ცდილობს მთელი თავისი საგანძური, წიგნების მდიდარი ფონდი მისაწვდომი გახადოს საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობისათვის.

მ. მიწველიძე

ფოტოზე: კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის წენობის ფასადი.

ფოტო გ. ჩერკასოვის •



ეკლიანი მავთულების სამმაგი ხლართი აქვს შემოვლებული კორეელ და ჩინელ მოხალისეთა სამხედრო ტყვეების ბანაკს კოჯედოზე. მავთულებში გატარებულია მაღალი ძაბვის ელექტროდენი. ბანაკს დარაჯობენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული განგსტერები. კუნძულზე მძვინვარებს ტიფისა და შავი ჭირის ეპიდემია, რასაც ამერიკელი ფაშისტები გულუხვად ავრცელებენ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოსაცდელად.

უმწეო ადამიანთა სიკვდილის კუნძულად იქცა კოჯედო. ინგლის-ამერიკელ ოკუპანტთა ახალი ბოროტების მსხვერპლი გახდა ათიათასობით სამხედრო ტყვე. შეუძლებელია წარმოიდგინო იმაზე დიდი ტანჯვა-წამება, რასაც სამხედრო ტყვეები განიცდიან კორეის არქიპელაგის ამ პატარა, ოდესღაც მშვიდობიან კუნძულზე. ხვრეტენ, ცხელი შანთებით აწამებენ, სიცოცხლეს უსპობენ უდანაშაულო ტყვეებს. მათ კლავენ იმიტომ, რომ არ სურთ შეასრულონ ამერიკელი ავაზაკების მოთხოვნა — იარაღით იბრძოლონ ღვიძლი ძმების წინააღმდეგ კორეაში, კლავენ იმიტომ, რომ არ სურთ შეუერთდნენ ლი-სინ-მანისა და ჩან-კაი-შის ბანდიტურ ხროვას, არ სურთ უარი განაცხადონ სამშობლოში დაბრუნებაზე. ამერიკელი იმპერიალისტები ხელაღებით არღვევენ ჰაავისა და ჟენევის კონვენციას სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ.

ამერიკელმა ინტერვენტებმა სიკვდილის საშინელ ბანაკად გადააქციეს მთელი კოჯედო. მათ არ იკმარეს მრავალტანჯული კორეის ცეცხლში გახვევა, ასობით ქალაქებისა და დაბა-სოფლების გადაბუგვა, კულტურის ძეგლების ნანგრევებად და ფერფლად ქცევა, აყვავებული ბაღების გაჩანაგება და მიწასთან გასწორება. მათ ახლა სამხედრო ტყვეების სისხლით შეღებეს და ჯოჯოხეთად აქციეს კოჯედოც.

ამერიკელ ინტერვენტთა ამ საშინელი მხეცობის წინააღმდეგ ხმა აღიმართა პროგრესულმა კაცობრიობამ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად კეთილი ნების ყველა ადამიანი მთელ მსოფლიოში სასტიკად გმობს ბაქტერიოლოგიური ომის მესვეურთა საშინელ მხეცობას კორეაში.



სტახანოველი

— გთხოვთ ცოტა ხნით გაჩერდეთ, უნდა გადაგიღოთ! — ეუბნება ჩვენი ფოტოკორესპონდენტი „პლასტმასის“ ქარხნის სტახანოველ მუშას ოლღა ჩოხელს.

— გავჩერდე? — ელიმება ოლღას და ამ მოკლე დიალოგის განმავლობაში ორი დეტალის დამუშავებას ასწრებს დაზგაზე, თითქოს ამით უსიტყვოდ გვიპასუხებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის თვითეულ წუთს.

თბილისის „პლასტმასის“ ქარხანას 1945-46 წლებში ჩაეყარა საფუძველი. ამ მოკლე დროში ქარხნის კოლექტივმა უკვე აითვისა ახალი წარმოება. თბილისის ქარხანა პლასტმასის ელექტროტექნიკური მოწყობილობებით ამარაგებს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკას, არამედ საბჭოთა კავშირს და, აგრეთვე, დემოკრატიულ ქვეყნებსაც.

პლასტმასამ, გარდა სახალხო მეურნეობისა, ფართო გამოყენება ჰპოვა ლითონების შეცვლის საქმეშიც.

არ არის მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელშიც არ იყენებდნენ პლასტმასის ნაკეთობებს.

თბილისის ქარხანა 60-მდე სხვადასხვა სახის ნივთს ამზადებს. მათში შედის ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობანი, საკანცელარიო და საოჯახო-სამეურნეო ნივთები, გალანტირია და სხვ.

რთული გზა უნდა გაიაროს პლასტმასისაგან დამზადებულმა თვითეულმა ნაკეთობამ, სანამ მას სასაქონლო სახე მიეცემა.

პროცესი იწყება საიარაღო საამქროდან. აქ მრანდავები, ხარატები და ზეინკლები ამზადებენ წნეხ-ყალიბებს, შემდეგ წნეხ-ყალიბი გადააქვთ გაღვანური განყოფილების აბაზანაში. აქ ლითონის წნეხ-ყალიბი იფარება ბრჭყვიალა, გამძლე ქრომით. მოქრომილი ყალიბები კი გადააქვთ საწნეხ საამქროში და წნეხზე ამაგრებენ. წნეხ-ყალიბში მუშა ჩატვირთავს განსაზღვრული წონის და შესაფერისი ფერის ტაბლეტირებულ ფხვნილს, წნეხი მაღალი წნევისა და სათანადო ტემპერატურის გავლენით ალღობს მას და აძლევს ყალიბის ფორმას. საჭირო ტემპერატურასაც ავტომატურად იცავს წნეხის სათანადო მოწყობილობა, — ეს მუშას უადვილებს წნეხის პროცესის ნორმალურად შესრულებას.

— ასე რომ, თუ მუშას შეეშლება, მანქანა თვითონვე გამოასწორებს მის შეცდო-



მას — ამბობს ლაბორატორიის უფროსი ამხ. მეგრელიშვილი...

შევდივართ გადამამუშავებელ საამქროში, სადაც საწნეხი საამქროდან გადმოაქვთ უკვე გამყარებული პლასტმასის სხვადასხვა ნაკეთობა. აი, ზის შემოწმებული მუშა, გულისყურით ათვალეირებს თვითეულ ნაკეთობას და მათ სათანადო ხარისხს ანიჭებს ტექნიკური პირობების შესაბამისად. მარჯვნივ ვარგისსა და ყოველმხრივ სრულყოფილ ნივთებს ალაგებს, მარცხნივ — წუნიანს. უკვე დღის 5 საათი იყო, მარცხენა მხარეზე კი მუშას არც ერთი ნაკეთობა არ ჰქონდა გადადებული.

უცბად ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამმა ახალგაზრდა გოგონამ. დანარჩენი მუშებისაგან განსხვავებით მათ სამუშაო ხალათები არ ეცვათ, თავისთვის ჩურჩულებდნენ, ეტყობოდათ აქაურები არ იყვნენ, მაგრამ

სხვებზე არანაკლები კონტაქტით ფუთინდნენ პლასტმასის სხვადასხვა ნივთს.

— პრაქტიკანტებია ერევნიდან, — განმმარტეს საამქროში, — ქიმიურ-ტექნოლოგიური ტექნიკუმის სტუდენტები არიან. ქარხანაში თითქმის ყოველთვის ნახავთ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუდენტებს...

განვავარძობთ საამქროების შემოვლას. პლასტმასის ის ნაკეთობანი, რომლებიც ლითონის დეტალებს არ მოითხოვენ, გადამამუშავებელ საამქროში ამთავრებენ თავიანთ ქარხნის-შიდა „მოგზაურობას“. აქ მათ ხეხავენ, ამოწმებენ, ფუთიან და საწყობში აგზავნიან. ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობები კი ჯერ ამკრფენ საამქროში მიაქვთ. აქ მათზე აწყობენ საარმატურო საამქროში დამზადებულ ლითონის დეტალებს. ეს უკანასკნელი საამქრო ავტომატიზირებულია. პირველ ოთახში დგას 15 ავტომატი. ორ მუშას, რომლებიც მათ ემსახურებიან, იშვიათად უხდებთ მანქანების საქმიანობაში ჩარევას, თითქოს ავტომატები ამ ორ ადამიანის დახმარებასაც უკადრისობენო.

ამკრფენ საამქროში სამი გრძელი კონვეიერი დგას. № 3 კონვეიერზე ხდება პლასტმასისა და ლითონის დეტალების აკრფვა-შეერთება. ეს კონვეიერი 9 სხვადასხვა სახის ელექტრო-ტექნიკურ მოწყობილობას ამზადებს: ჩამრთველებს, ელექტრო-განმავტოებლებს და სხვ.

თვალყურს ვადევნებთ სტახანოველი მუშების — ჩავლეიშვილის, დემეტრიშვილის, მუზაშვილისა და სხვათა მუშაობას. ისინი ერთ წუთსაც არ აცდენენ უქმად.

სტახანოველი ქალების — ღარიბაშვილის, ჩოხელის, კლავკოვასა და სხვათა დაზგებზე ლითონის ტარზე მიმავრებული პატარა ალმები დგას, წარწერით: „დღევანდელი დღის საუკეთესო ამკრფეს“.

— გუშინ ვისთან იდგა ეს ალამი? — ვეკითხებით ღარიბაშვილს.

— ჩემთან!
— გუშინწინ?
— ერთი თვეა აქ დგას! — მოკლედ მოგვიტრა მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ქიმიის ინსტიტუტის მუშაკები ქარხნის ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ თემაზე: „ახალი პლასტიური მასალის შექმნა საქართველოს ნედლეულის ბაზაზე“. მოსკოვში უკვე გაგზავნილია გამოსაცდელად 150 კილოგრამი ადგილობრივი ნედლეულისგან მიღებული ახალი სახის პლასტმასა.

მ. შაჩიაიძე



ფოტოზე — ზემოთ: ამკრფენ საამქრო. კონვეიერი № 3 მუშაობის პროცესში. ქვემოთ: სტახანოველი ოლია ჩოხელი ელექტრო-განმავტოებელთა პერმენტული კორპუსების დამამუშავების დროს.

ღები იზხნალები

ვის არ გაუგონია ღები იზხნელები! ხშირად გვესმის მათი ხმა რადიოთი. ალტაცე-ბით უსმენენ მათ კლუბებსა და თეატრებში. ვინ არიან, სად აღიზარდნენ, როგორ მიაღწიეს ამ წარმატებას შეხმატკბილებულმა ღებმა? ცხრაასიან წლებში, ქუთაისის ერთ-ერთ პატარა ქუჩაზე, ერთსართულიანი სახლის ფანჯარასთან სალამოს საათებში ხალხი ხშირად გროვდებოდა. ისინი უსმენდნენ ოთახიდან გამოსულ საამურ ხმებს, უსმენდნენ ტკბილ სიმღერებს: „სულიკოს“, „ციცინათელას“, „სიზმარს“ და სხვ. მღეროდა ბავშვთა გუნდი, რომელშიც შედიოდა გოგონა და სამი ვაჟი იყო. ესენი გახლდათ ალექსანდრე ივანეს ძე იზხნელის ბავშვები, რომელნიც დედის ხელმძღვანელობით ხშირად მართავდნენ უფასო შინაურ კონცერტებს. იზხნელების მეზობლები ამ დროს ყოველგვარ საქმეს შეწყვეტდნენ ხოლმე, ფანჯარას მიუახლოვდებოდნენ და სულგანაბლული უსმენდნენ მათ სიმღერებს.

იზხნელების ანსამბლი თანდათან გაიზარდა. იგი გადაიქცა მხატვრულ კოლექტივად, რომელიც სისტემატურად ატარებდა კონცერტებს არა მარტო ქუთაისში, არაჰედ სხვა ქალაქებშიც და დიდ სოფლებშიც. გაზაფხულის პერიოდში ისინი მიემგზავრებოდნენ მუშათა რაიონებში — ჭიათურაში, ზესტაფონში, სადაც მათ მოსახლეობა გულთბილად ხვდებოდა.

იზხნელების ძმები, როგორც უფროსნი, დებს ჩამოშორდნენ და თავიანთი გზით წავიდნენ. ისინი უკვე აღარ მღეროდნენ ღებთან ერთად. ორი ძმა, შვეიდა შარაბიძეების გუნდში, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ამავე გუნდში მღეროდა უფროსი და, მარიამიც. მესამე ძმა სამსახურში მოეწყო და ისიც დროგამოშვებით კუხიანიძის გუნდში მღეროდა.

ყველაზე უფროსი და, ვალენტინა, რომელსაც იშვიათი ლამაზი ხმა ჰქონდა, ხანდახან ცალკე



ალექსანდრე იზხნელი, ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობის უბრალო მომსახურე იყო და მეტად მცირე ხელფასს ღებულობდა. მას ძალიან უჭირდა მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა. იგი იბედიოდა შეპყრობებდა მომავალს, მას ახარებდა ბავშვები, რომელთაც შესანიშნავი ხმები ჰქონდათ და ძალიან კარგადაც მღეროდნენ. მისი მეუღლე, ვასილისა კონსტანტინეს ასული, თვითონაც მღეროდა წარმატებით ხმით და ბავშვებსაც სიმღერას ასწავლიდა.

როდესაც ბავშვები წამოიზარდნენ და ქუთაისის საშუალო სკოლაში — მაშინდელ გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში შევიდნენ, იზხნელების ოჯახის საბავშვო ანსამბლი უკვე ცნობილი იყო მთელს ქუთაისში. საზეიმო დღეებში ამ ანსამბლს ხშირად სასიმღეროდ იწვევდნენ სხვადასხვა ოჯახში.

ერთხელ, 1910 წელს, ქუთაისის გიმნაზიაში საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამოზე გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცნელმა იზხნელის ბავშვები მოიწვია. მათი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

1915 წელს იზხნელის საბავშვო ანსამბლი მთელი შემადგენლობით წაიყვანეს თეატრში. მაყურებლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან აფშაში არაფერი ეწერა. დაიწყო კონცერტი. რამდენიმე ნომრის შესრულებას შემდეგ დარბაზში სინათლე ჩააქრეს, აიწია ფარდა, მაგრამ სცენაზე არავინ ჩანდა, სიზნელე იყო. ამ დროს ვიღაცამ გამოაცხადა, რომ გუნდი შეასრულებს „სულიკოს“ და „ციცინათელას“. იზხნელის ბავშვების გამო-სვლისთანავე დარბაზში ჩურჩული ატყდა, ბერძნები იცნო ისინი და მქუხარე ტაშმა იგრიალა. ამის შემდეგ შესრულებული იქნა მთელი რიგი სხვა სიმღერებიც. კარგა ხანს ისმოდა ტაშის გრიალი.

ეს იყო ჩვენი პირველი საჯარო გამოსვლა დიდი აუდიტორიის წინაშე — დიმილით გვიამბო იზხნელების ერთ-ერთმა დამ — თამარმა.

კონცერტებით გამოდიოდა და შესანიშნავად ასრულებდა ქართულ რომანსებს.

ამრიგად, იზხნელების ანსამბლში დარჩა ხუთი და — ნინო, თამარი, ზინადა, ალექსანდრა და ელენე.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში დიდ გაჭირვებაში ჩავარდა იზხნელის მრავალრიცხოვანი ოჯახიც.

ამავე პერიოდში ჯერ უფროსი დები და შემდეგ მათი მომღვწონიც გათხოვდნენ, ცალ-ცალკე მოაწყეს თავიანთი ოჯახები. ამან რამდენიმე ხნით შესწყვიტა ანსამბლის მუშაობა. მაგრამ ისინი დროგამოშვებით მაინც იკრიბებოდნენ, საგასტროლოდ დადიოდნენ სხვადასხვა ქალაქებში და აწეოდნენ კონცერტებს. ისინი აღმოსავლეთ საქართველოსაც ეწვივნენ — თბილისში ჩამოვიდნენ.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოშიც ამობრწყინდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შუე. შეიცვალა იზხნელების ცხოვრებაც. 1926-1928 წლების მანძილზე იზხნელების ოჯახის წევრები თბილისის სხვადასხვა რაიონში დაბინავდნენ. აქ, 1926 წელს, გარდაიცვალა უმცროსი და ელენე.

ერთ ხანს ისინი მხოლოდ კლუბებსა და წარმოება-დაწესებულებებში გამოდიოდნენ დიდი დღესასწაულების აღსანიშნავად გამართულ საღამოებზე. აუდიტორია მათ გულთბილად ხვდებოდა.

იზხნელებს მათმა თაყვანისმცემლებმა ურჩიეს რადიოში გამოსვლა. დები 1940 წელს პირველად გამოვიდნენ მიკროფონთან და დიდი წარმატებით შეასრულეს სიმღერები.

ამის შემდეგ მათი სახელი სწრაფად მოედო მთელს საქართველოს, და მალე მის საზღვრებსაც გასცდა. იზხნელები მიიწვიეს საქართველოს ფილარმონიაში დია კონცერტებზე.

დიდი სამამულო ომის დროს დები იზხნელები პატრიოტული სიმღერებით აღაფრთოვანებდნენ ჩვენს გმირ მებრძოლებს სამშობლოსათვის ბრძო-

გაზაფხული, მკაცრები და მთავრობის სასახლე

საქართველოში გაზაფხული შემოჰყავთ ივნის, გუშინ ქუჩაში მალხაზებმა პეპელას სდიეს, მარტის ნიაგი ატმის ტოტებს აქანავებდა, დღე იყო ერთი: ზეცა ქუდად რომ არ მიმანდა და დედამიწა საქალამნედა. ვლალობდი ისე, როგორც ლაღობს პატარა ბავშვი, მერცხლებს ამ მიწის სურნელება აპქონდათ ცაში, ნეტავ იმდენი საიდან და სადღა მოფრინდა, საასპარეზოდ ნუთუ ზეცა არა ჰყოფნიდათ? ჩამოფრენილან, რომ ფრთა გაჰკრან ბოლნისის ქვაზე, მოაჩუქტრთმონ ეს ჭერი და იცხოვრონ ასე. როგორც იმ ჩემი მეზობლის ბავშვი, სასახლის ჭერში ყოველ დილით ჭიკჭიკს მორთავენ, რომ ფრინველებმაც შეიტყონ ცაში, თუ მოსკოვიდან რა შემოთვალეს. ქვეყნის ამბავი ფანჯრებიდან გაიგონ ასე, მერე წაიღონ და მოჰფინონ მინდორ-ველადა, კომუნიზმისთვის, მშვიდობისთვის დედამიწაზე, თუ სახვალოდ რა თქვა ბელადმა.

გივი გვოჭკორი

ლაში. არა ერთ მებრძოლსა და მეთაურს მოუწერია ალტაცეული წერილი მათთვის. არა ერთი და ორი დაჭრილი მეომარი დამტკბარა ჰოსპიტალში მათი სიძღვრებით.

იზხნელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით მიენიჭათ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა წოდება.


დები იზხნელების 26 სიმღერა ჩაწერილია ფირ-ფატაზე, მათ შორის: „სიმღერა სტალინზე“, „სულიკო“, „სამშობლოს სიყვარული“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „განთიადი“, „გაზაფხული“, „სიზმარი“, „ლაგვარ ცაზე“ და სხვ. საერთოდ, დები იზხნელების რეპერტუარი შეიცავს 100-ზე მეტ სიმღერას.

იზხნელების სიმღერები მეტად მუსიკალური და მელოდიურიან. ისინი წარმოადგენენ ქართულ საქალაქო ფოლკლორულ სიმღერებს, რომლებიც წარმოიშვა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქ. ქუთაისში. მთელ რიგ შემთხვევებში დები იზხნელები იყენებენ ქართული ხალხური სიმღერების მელოდიებს. ისინი ქართული საქალაქო ფოლკლორული სიმღერების ბრწყინვალე შემსრულებლები არიან.

დები იზხნელების წარმატება საკვებით გამართლებული და დამსახურებულია. მათი სიმღერები ღრმად სწვდებიან ადამიანის გულის სიღრმეს, ამოძრავებენ მის ყველაზე ნაზ სიმებს, იზიდავენ და საკვებით იმორჩილებენ მსმენელს. ღარიბი ოჯახიდან გამოსულმა დებმა მიიღეს გაჭირვების გზა გაიარეს ცარიზმისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობებში; ისინი ახლა მშრომელთა ფართო მასების დაფასებითა და სიყვარულით სარგებლობენ.

ი. რუისკირაი

ცოცხალი გუგუები



↑ ცოცხალი გუგუები უნარაღებს აპრობერტორული ქველბი ფოტოზე (უხში) მინას ძველი ერთობაშია ხედი, რომელსაც ახალი მოგზაობა ექვს. ის ადგილობრივი ხედი და აერობერტორული ხედი.

ამ მცენარის ფიჭობი კარგად ხანა კვია. მიუხედავად თბილისის სიციხეების, ვიქტორიათაგან წყალ ზღვრულზე კი ხელმოწერა აღიზნება. მისი ყვავილი მხოლოდ ერთ ღვინო ცოცხლობს; დიდი ადრე უნარაღებს ფოთლის ვენების აშკარა თხევადი ფერის ვაჭარს. შუადღის იგი ერთი საათი იხრება და დილა ხუთხუთა აშკარა, მის ღვინო ვარდისფერი აქვს. საღამო იგი წაწილ იშვება და კვება. ↓

მსოფლიოს მრავალი კუთხეა წარმოდგენილი აქ, ამ 75 ჰექტარ ფართობზე. დიდხარტ პატარა, ღამის ბილიკებით და თითქმის დღემდამდე კარგად მოვლულ მრავალფეროვან საკრთოფლოსა და რუსეთის ტყეები; უფრო შირს თუ წაგებულ, ათი-ათობეტი ტი წუთის სიარულის შემდეგ, უკვე ჩინეთში ნახთ, შემდეგ შეგნადილია მონიხანულით იაპონია, აგსტრალია, მგელთაშუა ზღვის სანაპიროები, არგენტინა, ბრაზილია, ჰინალის მხარე და კიდევ კვი მსოფლიოს რამდენი ქვეყანა... ამ მოვლარეების... თქვენს ყურადღებას იპყრობს ათასგვარი ცეხი, უნარაღები მცენარე. თქვენ შეგნადილია ნახთ ზამთრობით მოყვადილ ღამის ჰინალის, მონი-წაბლანების მალაი ტანის სტერეოლო, რომელსაც ფართო ფოთლები აქვს და ასიმილაციის კანის სპულალებითაც ახდენს. აქვე კუნწვამია, ანუ, როგორც სხვანაირადც უწოდებენ, ლაქის ხე. ამ ხის წვენიდან გემების კორპუსების დასაფარავად შესანიშნავი ლაქი მზადდება, რადგან იგი წყლის მცენარეებსა და ცხოველებს არ იყარებს. აქ არის ქაფურის ხე, დაშუქვნილი-ფლოლიანი მახვილი, პირალა ცხრატყავა, ფორტანეზია, ლიკვიდამბარი — ამბრის ხე, წიწვიანი ლიორიფენდრინი, ფრედილტეები და ა. შ.

მკითხველი, უთუოდ, უკვე მიხვდა, რომ ამ ღამის რაკია თბილისის ბოტანიკური ბაღზე, რომელიც მცენარეთა ადგილსამყოფელის და გაფრელების ზონის მიხედვით, დაყოფილია ნაწილებად. ამ ნაწილებზე კი, ისევე, როგორც მუზეუმის დარბაზებში, გუბილდორი-დენ არის შერგორილი უამრავი უნარაღები. ყოველ მცენარეს აქვს გაყოფილი პატარა დაუა, რომელზედაც მათი სახელი და გაფრელების ადგილი აღნიშნული.

ბოტანიკური ბაღი თბილისელთა საყვარელი დასვენებელი ადგილია. ქალაქში დატყვია თუ არა, ხალხით ივსება გრილი ხეივანები. ვის არ შეუდგებთ აქ, მცენარეთა ამ საყვარლო: განმარტობით მგარი, მწვანედმუდებელი გრძელ სკამებზე სხედან მოსწავლე ახალგაზრდები, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების სტუდენტები, რომლებსაც წიგნები გაუშლიათ და საზაფხულო სესიონისათვის ემზადებიან. ნახავთ მხატვრებს, საღებავების უფოთი, ფოტო-მოყვარულებს მხარზე გადაიდებული აპარატებით. აქ მოიპოვებთ ნატურალისტები დ. ბ. ბერის სახელობის ბიონერთა სასახლიდან, აქვე არიან სასოლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც გულდასმით ათვალდებენ ყოველ ხესა და ბუჩქს, უბის წინააღმდეგ იწყებენ მათ სახელებს და თვისებებს.

ბაღის სიღამაზე ხელს უწყობს მისი მდებარეობა, მისი მთავარიანი ადგილები და კიდევები, რომლებზეც ჩანჩქერი გაშლილია. ადამიანის ხელს ისე დაუტყვეს აქ მცენარეები, რომ ცილია მათთვის ბუნებრივი განლაგება მიეცა. თვით ხიდეები და მისი მოაჯირებიც

უბრალო, გათვლილი ხისაგანაა გაკეთებული, რაც ბაღს სისიდავეს და მოხუნწილობას მატებს.

დიდიხარტ საღამომდე არ წყდება ამ ადგილებში ფრინველების გალობა. ფრინველებს აქ შესანიშნავი მოსახლობა გაუპრობათ და თავს ჩინებულად გრძობენ. ბუჩქებში შავი ტახტახებს, სტყვის ბუბუბუდი, ქიკიკიკიან ჩიტატარებში-ქვამთა კი შირიდან იმის ქოტის და ბუს კვილი.

თბილისის ბოტანიკური ბაღი მარტო ცოცხალი გუგუები, არა ხალხთა დასვენებელი ადგილი როგორაა. აქედრე მცენარეთა-მშრომლები დიდ მუშაობას ატარებენ ახალი, მიწურიული ვაჭრების გამოსაყვანად. მათ ადგილებში ხილის მჭელი, ვაღამამბარი ბაღი, ავრეყვე ვაჭრად სპეციალური ახალი ნაკვეთი, რომლებსაც დარეკეს ვაჭრის, აბრის, ლევის ხეები და ასამდე ვაჭრის ფეხი მოაჭრეს. ამრიგად, აქ ჩქარა ხეხილის ქართული ვაჭრების უმდიდრესი კოლექცია იქნება.

მოკლე ხანში ამბობენ თუი ჰექტარი მიწის ათვისებას, მთის ფრელობზე კეთდება ასი მეტრი სიგრძის პარტები და სხე.

ჩვენ ამგვამდე ქართული ველორი ვევილოვანი მცენარეების კულტურაში შეტანაზე გუბნობთ, — ამბობს ხალხს ღირებურობი, ბოლოსორი გულსისწვილი. — მტად მდიდარია საკრთოფლოსი ფლორი და გენდა ამ სიმიდრიდან რამდენიმე დეკარაკული ღამაში მცენარე-მტებით კულტურულ მცენარეთა რიცხვს.

ყოველწლიურად ასობით ხერგს ზვანის ბოტანიკური ბაღიდან საწაორსა და რუსთაში, ამ ადგილებში გაიხარებენ ბოტანიკური ბაღში გამოყვანილი ათასგვარი დეკარაკული ხეების ხერგები. თბილისის ქუჩებში დარეკვება ჩინეთის მკვიდრის — პირალა ცხრატყავას მრავალწუნად ბუჩქები, რომელიც შესანიშნავი საბოდიდებელი მასალაა და ადვილად იტანს გაყრევას.


ყოველწმუდელა საბჭოთა ადამიანის მარჯვენა. ერთი წლის შემდეგ წყლით ათვისება საბჭოის აუზი, ზღვის სანაპიროზე დასვენების მოყვარულ მშრომლებს შესაძლებლობა ეძენათ დასვენების თბილისის ზღვის ნაპირზე. ახალი ზღვა შეარბილებს ჩვენი დედაქალაქის ბაღს და გაიხარებენ ისეთი მცენარეებიც, რომელთა არსებობაზე თბილისის მიწის წინათ წარმოდგენაც არ ჰქონდა. იზრდება და მალე თავის საზღვრებს გასცდება ბოტანიკური ბაღი. თბილისის სანაპიროზე დასვენებელმა კურარბობაში, ათასგვარი დეკარაკული და ნაყოფიანი მცენარეები და ნაყოფიანი მცენარეები და ეს მხარე ყველაფერს ბაღიდან გადისეული ვაჭრები.

მასხანს ქალაქში


ბოტანიკური ბაღში ერთმანეთს შეჯდნენ სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა ვაჭრის მცენარეები. ამ ყვავილ ქალაქში თბის ნაშთიკეთის ვაჭრები. თბილისის და დეკარაკული მოაჯირიან ადგილებს მათთან ბაღის უფროსმა მცენარეთა-მშრომელმა თამარ დუშაბაძემ და ამ ბაღში მიიღო ხანა. საქართველოში მუშის დიდების მკვიდრის კარად იპოვება ადგილის გამოცემა და კულტურული მუშა დუშაბაძის მალე მისი სხვადასხვა დერის თამარ დუშაბაძის დასწავლებს საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი დასახლება და სვეიცრის.


ამ ყოველთვის შეიძლება ახალი ხანტერი ამხუბის ვაჭრის მცენარეთა საჭარბს შეუბრუნდეს, შეიძლება მათი ნაშთი-თვისებებისა და თვისებურებისა შეიძლება სტრატეგიული ხალხს ღირებურობა, საქართველოს მცენარეობისა აკრძობის ნაწილი წერი, მისი, ფ. შ. გულსისწვილი უფლები იყის მზად არის ცნობისმოყვარეობის და ბიოლოგიის შესწავლა-თავის ახსნა-განმარტების მისაცემის აი, ახლაც იგი საბოლოო-სამეურნეო ინსტიტუტის სტალი დეკარაკული IV კურსის სტუდენტებს აცნობს დასახული საქართველოს ტყის მკვიდრებს.

ფოტო რ. კვიციანი



↑ მრავალი მომხმარებელი კუთხეა ბოტანიკური ბაღში. მტად ღამაშია ჩანჩქერი, რომელიც მალე-მალე იქნება.






ე ტ ი უ ლ ი

გ. ნადარეიშვილი

ამ ეტიუდს მიღებული აქვს III და სპეციალური პრიზი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და გაზეთ „ლელოს“ საკავშირო კონკურსზე, 1952 წელს.


მოცემულ მდგომარეობაში თეთრები აღწევენ მოგებას შორს გააზრებული ღრმა კომბინაციით. ეტიუდის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ამოხსნის პროცესში გვხვდება რამდენიმე პატარა ეტიუდი, რომლებიც მთლიანობაშია მოცემული და ამოხსნება შემდეგნაირად:



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. კა3—f8! (მხოლოდ ასე. I. 1.მე2+? მდ2 2. კხ4+ მდ2 3. კა4 კფ6 + 4. მდ7 ხ5 5. კ: ხ5 ხ2 და მოგება არ არის. II. 2. კე7 კე5! 3. კვ5+ მდ2 4. კძ7 მფხ1 5. მგ1 ხ2 6. მფ3 მფა1 და მოგება არ სჩანს. III. 2. კხ4+ მდ2 კძ7 კფ6 + 4. მდ8 ხ2 5.კფ5+მფხ3 6. კძ2 მფა2 7. კც3 კვ5 8.კე5 ხ1(კძ2) ყაი-მით). 1. . . . ხ3—ხ2! (არაფერს იძლევა 1. 1. . . . მდ2. 2. მძ3 კფ6+ 3. მდ7 ხ2 4. მხ4+ მფხ1 5.კძ3+მფა1 6. მც2+ მფა2 7. კე4+ მფხ1 8. მა3+ მფა1 9. კძ3 მოგებით. II. 2. . . . კც3 3. მფ2! ხ24. კძ3+მფ ე1 5. კხ6+ კძ2 6. კ: ძ2 7. კვ6 მფც1 8. მძ3+ მფ ხ1 9. მხ4+ მფა1 10. მც2+მფა2 11. კფ7+მფხ1 12. მა3+ მოგებით). 2. მც1—ა2+ (სახელდობრ ასე. 2. მე2+? მფე2 3. მძ4+მფე3 ყაიმით. 2. კვ7+ თამაშის შემთხვევაში მფხ4 ყაიმით). 2. . . . მფც3—ხ3 (არაფერს მომცემია 2. . . . მდ2 3. კხ6+ მფე2 4. კა4+ მფძ3 5. კძ7 და თეთრები იგებენ). 3. კხ5—ძ3 მფხ3: ა2 (3. . . . ხ1ლ 4. კ: ხ1 მფხ2 5. მც3 მფ: ც3 6. კვ7+ მოგებით. თუ 5. . . . მფც1 მაშინ 6. კხ6+ მფხ2 7. კფ5). 4. კძ3—ც4+ მფა2—ხ1 (ამით მთავრდება ეტიუდის შესავალი). 5. კე4—ხ3 ხ6—ხ5 6. მფძ8—ე7 ხ5—ხ4 7. მფე7—ფ6 მფხ1—ც1 8. კფ8—ხ6+ მფც1—ხ1 9. მფნ6—გ5 მფხ1—ც1 10. მფე5—ფ5 (გ4)+ მფც1—ხ1 11. მფ—ფ4 მფხ1—ც1 12. მფ4—ე4(ფ3)+ მფც1—ხ1 13. მფ—ე3 მფხ1—ც1 14. მფე3—ძ3+ მფც1—ხ1 15. კხ3—ფ7 ხ4—ხ3 16. მფძ3—ც3 მფხ1—ა2 17. კფ7: ხ3+ მფა2—ხ1 (დამთავრდა ეტიუდის მეორე ნაწილი. ეხლა კი თეთრებმა ფინალური მდგომარეობის მიღებამდე კიდევ ერთი პატარა ეტიუდი უნდა ამოხსნან). 18. კხ6—ფ8 მფხ1—ც1 19. კფ8—ა3 მფც1—ხ1 20. კხ3—ე6 მფხ1—ც1 21. კე6—გ4 მფც1—ხ1 22. მფც3—ხ3 მფხ1—ც1 23. კე4—ფ5 მფც1—ძ2 24. კფ5—ხ1 მფძ2—ც1 25. მფხ3—ა2 მფც1—ძ2 (დამთავრდა მესამე ნაწილი. იწყება ეტიუდის ფინალურ-ანალიტიური ნაწილი, სადაც შევების მეფე ფორსირებულად უამათდება გ8). 26. კხ4+ მფძ1 27. კე7 მფძ2 28. კფ6 მფე3 29. მფხ3 მფძ2 30. კვ5+ მფე2 31. მფც3 მფვ3 32. მფძ2 მფე4 33. კხ6 მფხ5 34. კე3 მფე4 35. მფე2 მფხ5 36. მფვ3 მფხ4 37. კე5 მფვ5 (თუ მფხ3, მაშინ 38. კე7 მფხ2 39. მფ2 უამათით რამდენიმე სვლაში). 38. კე7+ მფხ5 39. მფ4 მფხ6 40. კფ6 მფხ5 41. მფნ5 მფხ6 42. კვ5+ მფე7 43. მფენ6 მფვ8 44. მფძ7 მფვ7 45. მფძ6 მფვ8 46. მფენ6 მფე8 47. კენ6+ მფვ8 48. კხ6+ მფვ8 49. კხ1 მფხ8 50. მფნ6 მფვ8. 51. მფენ6 მფხ8 52. კე7+მფვ8 53. კა2+.

გარეკანის პირველ გვერდზე: დუშეთის რაიონის ბერძან სახელობის კოლქეურნეობის იალაღებზე. — ფოტო მ. მისაილოვისა. მესამე გვერდზე: „ახალი გაზეთი“. — ფოტოეტიუდი ვლ. გინზბურგისა. მეოთხე გვერდზე: სუხუმი. ქალაქის ხედი სუხუშის მთიდან. — ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა. ჩართულ გვერდებზე: ქართველი მხატვრების პეიზაჟები. ჩართული გვერდები და ტექსტი დაბეჭდილია ფოტოლინკოგრაფიაში.



პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

4. ქალაქი ევროპაში. 7. ქიმიური ელემენტი. 8. ხილი. 9. ორგანიზმის დაზიანება. 10. დაღებით ელექტროდზე გამოყოფილი იონი. 13. ქალაქი კორეაში. 16. პოლიგრაფიული დაწესებულება. 17. საბჭოთა მწერალი. 18. მომავალი სპექტაკლის მაუწყებელი განცხადება. 19. საბუნხალტრო ტერმინი. 20. გეომეტრიული სხული. 22. გარეული ცხოველი. 24. რწმუნებული. 25. უნაღებო ამინდები. 28. ევროპელი კომპოზიტორი. 30. ფულის ერთეული ამერიკაში. 31. ქიმიური ელემენტი. 32. „ინტერნაციონალის“ ტექსტის ავტორი. 33. ხელისუფლების დადგენილება, გადაწყვეტილება.

გ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. სანიმუშო ნაწარმოები. 2. საზოგადოებრივი, პარტიული, ან სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელი წევრების შეკრება, სრული შემადგენლობით. 3. ინგლისელი მეცნიერი. 5. თურქთაგან მიტაცებული ქართული ოლქი. 6. უცხოური საქონლის შემოზიდვა. 11. სპეციალისტი. 12. საბჭოთა მსახიობი. 14. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში. 15. ქიმიური ელემენტი. 21. ქვეყანა პირინეის ნახევარკუნძულზე. 23. საპაეო ფლოტი. 26. ე. წ. „პატარა ფორმის ხელოვნება“. 27. პროვინცია იტალიაში. 29. ცეკვა.

„დროშის“ № 5-ში მოთავსებული ქროსვორდის პასუხი

პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. სეტი. 8. არხანგელსკი. 9. ნილაკვი. 10. უმლაუტი. 12. მარაო. 13. ოდერი. 14. მორფი. 17. ბოლონია. 18. კალა. 19. მორზე. 20. ალექსანდრია. 21. ფიატი. 23. ბროლი. 26. ინდიანა. 28. კერკი. 29. ტაგრი. 31. ირემი. 32. დერვიში. 33. ლანგარი. 35. კონსულტაცია. 36. იანა.

გ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. სტალინი. 2. ერგი. 3. იალბუზი. 4. ფარავანი. 5. ლისაბონი. 7. ჰიმალაი. 8. სტავროლი. 11. რეპუტაციოვი. 15. გრანიტი. 16. ბაზალტი. 22. ტეკერეი. 24. როზმარი. 25. ქუცუკი. 27. პარაკვაი. 29. ტრისტეტი. 30. იალქანი. 34. ელზა.

გარეკანი დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში.

რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჰელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პრ. № 91. ტელ. № 3-95-38
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13, VI -52 წ. გამოცე. № 99
ნაბეჭდი ფურც-3¹/₂, ტირაჟი — 15.000
შეგვ. № 330
შე 00559



ქართული
ბიბლიოთეკა



